

სტუდქალაქი რემონტდება თუ იყიდება

A2



"გულახდილად"

A4



"კლივლენდის" სელექციონერი თბილისში

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი. №252 (1112)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### მერიის სამსახურის "დერჟი მორდა" უფროსებს ან დაამტკიცებენ, ან არა

თუკი საკრებულოს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი პაატა ზაქარეიშვილი უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში არ დაასახელებს იმ დეპუტატების გვარებს, რომლებიც დედაქალაქის ბიუჯეტიდან თანხებს "ტეხავენ", უმრავლესობა ზაქარეიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

A2

## ამბები

### პირველი გაჩერება - ერაყი



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ ერაყში ჩავიდა. თეთრი სახლის წარმომადგენელი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობას 15 დეკემბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

A5

## სხვადასხვა

### ათამაშეთ, თუ გინდათ, რომ ასწავლოთ

წლევანდელ თბილისის წიგნის ფესტივალზე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს ღონისძიება პირველად დაემსგავსა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალს. თუმცა ამ სიტყვების ავტორებს იმის აღნიშვნა ავიწყდებოდათ, რომ მსგავსება მხოლოდ საგამოფენო სივრცის შერჩევისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით თუ შეიმჩნეოდა.

A8

## ამინდი

| | 12/11 | 13/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 9 |
| ტყიბული | 13 | 15 |
| სოხუმი | 13 | 15 |
| დმანისი | 3 | 4 |
| გორი | 7 | 8 |
| ონი | 5 | 6 |
| ზუგდიდი | 15 | 18 |
| ახმეტა | 10 | 9 |
| გაგრა | 11 | 11 |
| სამტრედია | 15 | 18 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1009 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1271 |
| რუბლი | 0.0622 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| კვირა | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| განცხადება | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |



# თეატრის კარი გაიღო



ზურა ბულიაშვილის ფოტო

სოფო კილასონია

სამი წელი მის გარეშე რთულიც იყო და მოსაწყენიც. ბილეთები არ გაყიდულა. მოწვეულ სტუმართა რაოდენობა არც ისე შთამბეჭდავი გახლდათ. თუმცა, მთავარი გუშინ საღამოს არა სტუმრები, არამედ მასპინძელი ბრძანდებოდა. აკადემიური თეატრების დახურვამ სტაჟიანი თეატრალები სახლებში დასვა, ახლგაზრდა მაყურებელი კი კერძო თეატრების არასერიოზულ და ხშირად უგემოვნო რეპერტუარს აადევნა. რუსთაველის თეატრის მსახიობები გუშინ ამაყად გვარწმუნებდნენ, რომ თეატრში ძველი ატმოსფერო არ გამქრალა, ანუ გარემო, როცა ქართული თეატრის მედროშე რეჟისორები და მსახიობები ეპოქალურ წარმოდგენებს მართავდნენ და ისტორიას ქმნიდნენ. სამწლიანი ვაკუუმის შემდეგ ნანატრი დღე დადგა. გუშინდელი საღამო ქართულ თანამედროვე თეატრში ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკადემიური თეატრების გარეშე თეატრალური ცხოვრება, ფაქტია, სულს ძლივს ითქვამდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# მერაბიშვილმა ორატორობით ოპოზიციას აჯობა

*რამდენად მომზადებული დახვდა მინისტრს პარლამენტის ოპოზიცია და გამოიყენა თუ არა მან პარლამენტის ტრიბუნა? - გთავაზობთ ამის შესახებ საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლების აზრს.*

თამარ მაისურაძე

ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ, ძირითადად, ოპოზიციამ თავი იმ დონით გამოიჩინა, რის საშუალებასაც რეგლამენტი იძლეოდა: **"ამავე დროს, ეს რეგლამენტი ეფექტურად გამოიყენა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც პირადად ჩემთვის ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო. რიგ კითხვებზე გაიცა ადეკვატური პასუხი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში, სამთავრობო საათზე მაინც ზოგადი საუბრები იყო. დეტალური გარჩევები იმისა, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებში დეპუტატებისათვის საკამათოა, განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში საკომიტეტო მოსმენებისას უფრო ხდება.**

**თავისთავად, ზოგადი ტენდენციების ამსახველი საუბარი ცუდი არაა, რადგან წარმოდგენას გიქმნის იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მინისტრს, ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება მის უწყებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მერაბიშვილმა საინტერესოდ შეაჯამა, თუ რა პლუსები და მინუსებია სამინისტროში. რა თქმა უნდა, დაინტერესებულ და საქმეში ჩახედულ ადამიანს დამატებითი კითხვებიც გაუჩნდებოდა. მაგრამ ის, თუ, მაგალითად, ნარკომანიასთან ბრძოლაში სამართალდაცვას, პრევენციასა და პროფილაქტიკას შორის როგორი ბალანსი წარმოუდგენია მინისტრს, ან როგორ აისახება კრიმინალთან შეურიგებელი ბრძოლის ლოგიკური კურსი კონკრეტულ სამსახურებრივ ინსტრუქციებში იარაღის გამოყენების შესახებ,**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცივილიზაციათა შეჯახება?

"უჩინოთა" ჯანყი საფრანგეთში

ნიკა თარაშვილი

*არეულობების დაწყებიდან მეთხუთმეტე დღეს საფრანგეთის 30 ქალაქში კომენდანტის საათი მოქმედებს. 96 დეპარტამენტიდან 25 საგანგებო რეჟიმზეა გადასული. მართალია, ამ ზომებმა ცოტა შეასუსტა ძალადობის ტალღა ფრანგული ქალაქების გარეუბნებში - მაგალითად ხუთშაბათს ღამით, მხოლოდ 394(!) ავტომობილი დაწვეს, მაგრამ აშკარაა, რომ ვითარების განმუხტვამდე ჯერ კიდევ შორსაა.*

*მაინც რამ გამოიწვია ასეთი ძალადობის ტალღა ევროპის ცენტრში? ეს კითხვა, ბუნებრივია, რიტორიკულად ჟღერს, თუმცა სანამ მასზე პასუხი არ გაიცემა, საეჭვოა, ქმედითი შედეგები იყოს მიღწეული.*

გაგრძელება A5 გვერდზე




*"არაფრანგი" ფრანგები.*

# "ნაჭლაბნი" - თვითმმართველობის ალტერნატიული კანონპროექტის შეფასება უმრავლესობისგან

ნანა ქადაგიშვილი

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პარლამენტში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის (უმრავლესობისეული ვარიანტის) განხილვის პროცესი სწორედ მიხეილ მაჭავარიანის მითითებით შეჩერდა. მანამდე უმრავლესობა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას გასულ კვირაში, ალტერნატიული ვარიანტების გარეშე აპირებდა. თუმცა, ბოლოს გადაწყვეტილება შეცვალა. **"ალტერნატიული კანონპროექტების შემოტანას დაველოდებით, რათა ოპოზიციას საპრეტენზიო არ ჰქონდეს,"** - განაცხადა რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა.

უმრავლესობის ამ "დამთმობ" ნაბიჯს ოპოზიციამ თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედა. **"კომიტეტმა ასეთი გადაწყვეტილება მაჭავარიანის რჩევით მიიღო, თუმცა ეს მხოლოდ ფანდია. საბოლოოდ, უმრავლესობა მაინც კანონპროექტის საკუთარ ვარიანტს გაიტანს,"** - აცხადებდა ოპოზიცია.

აღნიშნული ვარაუდი მიხეილ მაჭავარიანის ორი დღის წინათ გაკეთებულმა განცხადებამ უფრო გაამყარა. **"მაჭავარიანმა ჩვენს კანონპროექტს ნაჯღაბნი უწოდა და განადგურებით დაემუქრა. ჩვენი მიზანი იყო, ხელისუფლებისათვის სახელმწიფო მოწყობის შესახებ საკუთარი მოსაზრებები შეგვეთავაზებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ჩვენს ნაბიჯს არაადეკვატურად აფასებს,"** - აცხადებენ "არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის" წარმომადგენლები, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის საკუთარი ვარიანტი პარლამენტს სამი დღის წინათ წარუდგინეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რისთვის და ვისთვის იცვლება დედაქალაქის ბიუჯეტი ამჯერად?

*გუშინ დედაქალაქის ბიუჯეტში მორიგი ცვლილება შევიდა. წელს ეს უკვე რიგით მეცხრამეტეა. ცვლილებების დიდი ნაწილი გასაწევი ხარჯების კორექტირებას ეხება. საკრებულოს ოპოზიცია ირწმუნება, რომ ქალაქის მთავრობა ამ ცვლილებით უკვე დახარჯული ათასობით ლარის "გაპრავებას" ცდილობს. ეკონომიკურ ექსპერტთა ერთი ნაწილი კი ამ ცვლილებებს იწუნებს და ქალაქის ხელმძღვანელობას პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრაში ადანაშაულებს.*

ეთერ მამულაშვილი

**რას ნიშნავს ბიუჯეტის ხშირი ცვლილება?**

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე თბილისის ბიუჯეტის რიგით მეცხრამეტე ცვლილებას დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

რატომ დასჭირდა თბილისის მთავრობას ამდენჯერ ბიუჯეტის შეცვლა? ამ კითხვაზე საკრებულოს ოპოზიციურ ფრაქციებსა და ქალაქის ხელმძღვანელობას ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პასუხები აქვს. "ახლების" ფრაქციის წევრი თემურ ბილიხოძე ამტკიცებს, რომ ამჯერად და მანამდეც ცვლილებების უმრავლესობა მხოლოდ ერთ მიზანს, უკვე გაწეული ხარჯების ლეგალიზებას ემსახურება. **"2 მილიონ 500 ათასი ლარით გაზარდეს ბიუჯეტის ის მუხლი, რომელიც ფასადების შეკეთებას გულისხმობს. ვერ დავიჯერებ, რომ ნოემბერ-დეკემბერში ფასადებს შეაკეთებენ. ამას დრო სჭირდება - ტენდერის გამოცხადება, ჩატარება და სხვა. მერწმუნეთ, ეს თანხა უკვე დახარჯულია და ახლა ამის "გაპრავება" უნდათ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თემურ ბილიხოძემ.

რეალურად ხდება თუ არა უკვე გაწეული ხარჯების ლეგალიზება, ამის გადამოწმება და გარკვევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუკი საკრებულოს დეპუტატის ზემოთ გამოთქმული მოსაზრება დადასტურდება, იურისტების განმარტებით, წინასწარ დადგენილი ხარჯების გადამეტება სისხლის სამართლის დანაშაულია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯემალ ინაიშვილს დაბადების დღე ვიცე-სპიკერობით მიულოცეს

**"მემარჯვენე" ოპოზიციამ კი ის შევარდნაძის ოჯახთან ფინანსურ ალიანსში დაადანაშაულა**

*1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში ბათუმის საარჩევნო ოლქში გამარჯვებულ ჯემალ ინაიშვილს გუშინ 43 წელი შეუსრულდა. საკანონმდებლო ორგანომ იუბილარს დიდებული საჩუქარი უძღვნა - სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოფილი პრეზიდენტი, 112 ხმით, ერთსულოვნად იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომის დღის წესრიგში ჯემალ ინაიშვილის ვიცე-სპიკერად არჩევის საკითხი საკმაოდ მოულოდნელად შევიდა. სხდომა სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც ნინო ბურჯანაძემ ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენა, რასაც მხოლოდ კობა დავითაშვილმა გაუწია წინააღმდეგობა, ისიც ხუმრობით - ჯერ კობა ხაბაზის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობას დაველოდოთო.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ ჯემალ ინაიშვილის არჩევის ფორმალური "საბაბი" კი გახდა აჭარის დეპუტაციის თხოვნა იმის შესახებ, რომ ავტონომიური რესპუბლიკისთვის განკუთვნილი, ვიცე-სპიკერის კვოტა სწორედ ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატს გადასცემოდა.

ჯემალ ინაიშვილის პოლიტიკურ წინსვლას საპარლამენტო უმრავლესობა მოწონებით ხვდება. ყოველ შემთხვევაში, როგორც ნინო ბურჯანაძე აცხადებს, ამ საკითხზე სახელისუფლებო ფრაქციაში გამართული კონსულტაციების დროს პროტესტი არავის გამოუთქვამს და ვიცე-სპიკერის პოსტზე ჯემალ ინაიშვილის კანდიდატურა ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოში ლეშეკ ბალცეროვიჩი ჩამოდის

პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ლეშეკ ბალცეროვიჩის ვიზიტი საქართველოში 15-დან 19 ნოემბრამდე გასტანს.

ვიზიტის ფარგლებში ლეშეკ ბალცეროვიჩი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს რომან გოცირიძეს. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში შედგება ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნის - "შეზღუდული სახელმწიფოსაკენ" პრეზენტაცია. სასტუმრო "თბილისი მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება სემინარი, რომელზეც პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარდგება მოხსენებით "გარდამავალი ეკონომიკის გაკვეთილები". სემინარის მონაწილეები გაეცნობიან ლეშეკ ბალცეროვიჩის "Wall Street Journal"-ში დაბეჭდილ სტატიას "ხალხთა სიმდიდრე". ვიზიტის ფარგლებში ბორჯომის სამთავრობო რეზიდენციაში დაგეგმილია სემინარის გამართვა, რომელზეც ლეშეკ ბალცეროვიჩი წარდგება მოხსენებით თემაზე "პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის გაკვეთილები".

*24 საათი*

## თბილისში კიევის დღეები უნდა აღნიშნონ

ნათია მსხილაძე

მომავალ წელს თბილისში კიევის დღეებს იზეიმებენ. ამისთვის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური 250 ათას ლარს გამოყოფს. მთელი წლის სახალხო დღესასწაულები ქალაქის მთავრობას 400 ათასი ლარი დაუჯდება. სახალხო დღესასწაულების პარალელურად, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებას მომავალი წლის ღონისძიებების ჩასატარებლად 600 ათას ლარს გამოუყოფს. ამ თანხიდან ნახევარი მილიონი ლარი ბანაკ "პატრიოტს" მოხმარდება, ხოლო დარჩენილი 100 ათასი ლარი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და ინიციატივების ხელშემწყობ პროგრამებზე გადანაწილდება.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების 2006 წლის მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი ორი მილიონ 109 ათას 200 ლარს შეადგენს. პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოებს, გასული წლების მსგავსად, ადგილობრივი მთავრობა შეიძენს. საქალაქო სამსახურს პირველკლასელთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა 250 ათასი ლარი დაუჯდება.

განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით დაფინანსდება 11 მუზეუმს, 3 პანთეონს, სამუსიკო და ხელოვნების 31 სკოლასაც შეეხება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ," "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მომართეს:

1. შ.პ.ს. ზვიად გამსახურდიას სახ. რუსთავის ფართოპროფილიანმა დამოუკიდებელმა კოლეჯმა "ლამპარმა" - ითხოვს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.
2. შ.პ.ს. "კალასმა" - ითხოვს დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.
3. ქ. ბათუმში მდებარე შ.პ.ს. "ფენიქსმა" - ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
4. შ.პ.ს. "საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტმა" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, "საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას" ეწოდა შ.პ.ს. "საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი".

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

**პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი გაეროს მმართველობის რეფორმის პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს პროექტის ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობაზე.**

UNDP

პროექტის ასისტენტის ძირითადი ფუნქციაა განვითარებისა და რეფორმების ფონდში არსებული გაეროს განვითარების პროგრამის საპროექტო განყოფილების მხარდაჭერა მმართველობის რეფორმის პროგრამის განხორციელებაში.

პროექტის ასისტენტი იმუშავებს ეროვნული პროექტის კორდინატორის ზედამხედველობის ქვეშ და შეასრულებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

დეტალური ინფორმაცია პროექტის ასისტენტის ფუნქციებისა და მოთხოვნების თაობაზე იხილეთ:

პრეზიდენტთან არებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის ვებ გვერდზე:

**http://www.drf.org.ge** ან გაერო-ს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: **http://www.undp.org.ge/Vacancy.htm**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ბიოგრაფია **(CV)** და მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე დალუქულ კონვერტში მისამართზე: ჭანტურიას 12 (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობა) მე-3 სართული, განვითარებისა და რეფორმების ფონდი.

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ნოემბერი 17.00**

## მერიის სამსახურის "დერჟი მორდა" უფროსებს ან დაამტკიცებენ, ან არა

*თუკი საკრებულოს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი პაატა ზაქარეიშვილი უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში არ დაასახელებს იმ დეპუტატების გვარებს, რომლებიც დედაქალაქის ბიუჯეტიდან თანხებს "ტეხავენ", უმრავლესობა ზაქარეიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.*

თამარ დვალი

ახლად ჩამოყალიბებულ ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრს პაატა ზაქარეიშვილს საკრებულოს პირველივე სხდომაზე საპრეზიდენტო უმრავლესობასთან თავის მართლება მოუწია. როგორც გაირკვა, უმრავლესობა დეპუტატის მიერ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულმა ინტერვიუმ გააღიზიანა, რის გამოც ისინი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. **"ჩვენ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ და მორალური ზარალის ანაზღაურებას მოვითხოვთ. თუკი ბატონი პაატა კონკრეტულ გვარებს არ დაგვისახელებს, ვინ "ტეხავს" ფულს ბიუჯეტიდან, სასამართლოში ვუჩივლებთ,"** - ეს განცხადება გუშინ ფრაქცია "ნაციონალების" ლიდერმა ნანული ქაჩიბაიამ საკრებულოს სხდომაზე საპრეზიდენტო უმრავლესობის სახელით გააკეთა.

ზაქარეიშვილის განმარტებით, იგი კონკრეტულ გვარებს კი არა, ბიუჯეტში არსებულ გაუმჭვირვალე პროგრამებს გულისხმობდა. მაგალითისთვის მან გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები და განათების საკითხი მოიყვანა. **"ნებისმიერი სადავო საკითხი სასამართლოში წყდება და მე მომხრე ვარ, სიმართლე ამ გზით გავარკვიოთ. გული მწყდება, რომ საგაზეთო მასალამ ასეთი უთანხმოება გამოიწვია. მე საკრებულოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებებს ვგულისხმობდი, რომელთა უკანაც კორუფციული გარიგებები იკვეთება,"** - აღნიშნა ზაქარეიშვილმა. ახლად შექმნილ ოპოზიციურ ფრაქციას "ლეიბორისტებმაც" დაუჭირეს მხარი და აღუთქვეს, რომ სასამართლო პროცესზე უმრავლესობის "მამხილებელ" დოკუმენტებს თავადაც წარმოადგენდნენ.

მას შემდეგ, რაც უმრავლესობის წევრებმა ზაქარეიშვილთან მიმართებაში საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს, დღის წესრიგის განხილვას შეუდგნენ. სხდომაზე გამოტანილი 10 საკითხიდან ყველაზე დიდი უთანხმოება რესპუბლიკის მოედნისთვის "ვარდების რევოლუციის" სახელის მინიჭებამ გამოიწვია. ერთსაათიანი დებატების შემდეგ, ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, უმრავლესობამ აღნიშნული საკითხის დამტკიცება შეძლო. საკრებულო თანახმაა და ახლა მერის ხელმოწერალა დარჩა, რომ რესპუბლიკის მოედანს "ვარდების რევოლუციის" სახელი მიენიჭოს. საკრებულოს გადაწყვეტილებითვე, თბილისში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას (ვაკის პარკიდან ბაგებამდე) ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირის სახელი მიენიჭა.

ოპოზიციის მიერ მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, გუშინ პირველად, მხარი საკრებულოს თავმჯდომარემაც დაუჭირა. როგორც ჩანს, ბეგაშვილს მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების მუშაობა არ მოსწონს და მათი თავნებობითაც უკმაყოფილოა. საკრებულოს თავმჯდომარე კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თავს იკავებს **"ზოგიერთი საქალაქო სამსახურის უფროსი თავს უფლებას აძლევს, საკრებულოს გადაწყვეტილებები განიხილოს და თავად შეაფასოს, შეასრულოს თუ არა ისინი. მე მართლაც მომბეზრდა ასეთი "დერჟი მორდა" უფროსების ყურება. საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ქალაქის მერი წარმოადგენს მთავრობის სრულ შემადგენლობას, რომელიც საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. ზოგიერთი სამსახურის უფროსს მე არც კი ვიცნობ. არც ერთ სამსახურის უფროსს არ დავამტკიცებთ ისე, თუ ისინი არ გაივლიან საკომისიო მოსმენებს და არ წარმოადგენენ პროგრამებს. ამ შეხვედრისას ისინი გაიგებენ უმთავრესს, ვინც ეს არ იცის, რომ საკრებულოს ყველა გადაწყვეტილება მათთვის სავალდებულოდ შესასრულებელია,"** - განაცხადა ბეგაშვილმა.

გუშინ საკრებულოს წევრებმა თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გლდანის მიუსაფარ ბავშვთა ადაპტაციის ცენტრს 50 ათასი ლარი გამოუყვეს.

აღსანიშნავია, რომ გლდანის ბავშვთა ადაპტაციის ცენტრი მიმდინარე წლის აპრილში გაიხსნა. მისი ბიუჯეტი კი იანვარში 200 ათასი ლარით განისაზღვრა. დღეს ცენტრში არსებულ დარღვევებს პროკურატურა იძიებს. ამ საკითხით ფრაქცია "ახლების" წარმომადგენელი თამაზ ნაცვლიშვილი დაინტერესდა, რომელიც სათანადო მასალებს საკრებულოს უახლოეს მომავალში წარუდგენს. **"მე ცენტრისთვის 50 ათასი ლარის დამატების წინააღმდეგი არ ვარ, რადგან ამის გარეშე ცენტრი ფუნქციონირებას ველარ შეძლებს. თანხა, რომელიც ადაპტაციის ცენტრს ჰქონდა, ბიუჯეტში არამიზნობრივად გაიფლანგა. მისი ხელმძღვანელი გიორგი თავაძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან. აღსანიშნავია, რომ სამეთვალყურეო საბჭომ ხარჯთაღიცხვისას 333 ათას 700 ლარი დაიანგარიშა, მაშინ, როდესაც ცენტრის ბიუჯეტი 200 ათას ლარს შეადგენდა. რანაირად შეიძლება 200-ათასიან პროგრამაში ხარჯთაღრიცხვა იყოს 333 ათას 700 ლარი, გაურკვეველია. ეს სამეთვალყურეო საბჭოს არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს. ამაზე უარესია ის, რომ ივლისში ეს დაწესებულება გენერალურმა ინსპექციამაც შეამოწმა და აქტში მათაც იგივე მიუთითეს, ანუ ბიუჯეტსა და ხარჯთაღრიცხვას შორის სხვაობა ვერც მათ შეამჩნიეს. ჩემი ინფორმაციით, დღეს ცენტრს მხოლოდ 26 ათასი ლარიღა აქვს დარჩენილი, რითაც არსებობას მართლა ვერ შეძლებს,"** - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

## სტუდქალაქი რემონტდება თუ იყიდება

*სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლიდან რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს აღარ გამოასახლებენ. ამის შესახებ მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა, კახა კორძაიამ აცნობა. სტუდენტების გამოსახლება კორპუსებში ანტისანიტარიული მდგომარეობის და რემონტის გამო გადაწყვიტეს, თუმცა, სტუდენტების თქმით, ანტისანიტარიული მდგომარეობა არა მათთან, არამედ იმ კორპუსშია, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ. სტუდენტების ინფორმაციით, საერთო საცხოვრებლის სამი კორპუსი კომპანია "ცენტრ პოინტს" უნდა გაერემონტებინა, რის შემდეგაც ერთი კორპუსი კომპანიას მფლობელობაში გადაეცემოდა, თუმცა ამ ინფორმაციას კომპანიის წარმომადგენელი უარყოფს.*



*სტუდენტები აქციების დაწყებას გეგმავენ.*

ნათია მსხილაძე

დაახლოებით, ერთი თვის წინ სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს საერთო საცხოვრებლიდან გასახლების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა კახა კორძაიამ შეატყობინა. საერთო საცხოვრებლის კორპუსში 100-მდე სტუდენტი ცხოვრობს. მათი თქმით, იმ თანხით (30 ლარი), რასაც საერთო საცხოვრებელში იხდიან, სხვაგან ბინის დაქირავება შეუძლებელია.

**"უნივერსიტეტის რექტორის რუსუდან ლორთქიფანიძის განცხადებით, ბაგებში მდებარე, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი ბინები სანიტარიულ ნორმებს არ აკმაყოფილებს. ტერიტორია "ცენტრ პოინტმა" შეიძინა და მასთან გაფორმდება ხელშეკრულება, რათა კომპანიამ სტუდქალაქის ორი კორპუსი გაარემონტოს და ერთი კორპუსი მფლობელობაში გადაეცეს,"** - აღნიშნა სტუდენტმა ალეკო ნიქაბაძემ.

სტუდენტები ერთ-ერთ კორპუსში შესახლებას ითხოვენ, რათა დანარჩენი ორი გარემონტდეს, მაგრამ როგორც მათ განუცხადეს, სარემონტო სამუშაოები სამივე კორპუსში ერთდროულად დაიწყება.

უნივერსიტეტის რექტორი ზემოაღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს და სტუდენტების მიერ გაკეთებულ განცხადებას აბსურდულად მიიჩნევს. **"ბაგებში მდებარე საერთო საცხოვრებელი არ გაგვიყიდია და გაყიდვას არც ვაპირებთ. ჩვენ გვინდოდა, რომ გაგვერემონტებინა, მაგრამ ახლა ამასაც არ გავაკეთებთ, რადგან სტუდენტები აცხადებენ, რომ გადასარევ პირობებში არიან. ისინი, ისეთი დონის სტუდენტები არიან, რომ, ალბათ, სახლში არ უცხოვრიათ,"** - განაცხადა რუსუდან ლორთქიფანიძემ.

გაურკვევლობაში მყოფმა სტუდენტებმა, არსებულ სიტუაციაში გასარკვევად, ოფიციალური განცხადებით უნივერსიტეტის რექტორს მიმართეს და შეხვედრა სთხოვეს. რუსუდან ლორთქიფანიძე სტუდენტებს არ შეხვდა, თუმცა მათ მხარდასაჭერად ოპოზიციის ერთ-ერთი ჯგუფი მივიდა. რექტორის არმისვლის მიზეზად სტუდენტებმა უამინდობა დაასახელეს. **"რექტორის წარმომადგენელმა, ძნელაძემ გვითხრა, ლორთქიფანიძე ამ ამინდში გაცივდება და ვერ შეგხვდებათო,"** - აღნიშნა ალეკო ნიქაბაძემ.

## "ნაჭღაბნი" - თვითმმართველობის ალტერნატიული კანონპროექტის შეფასება უმრავლესობისგან

პირველი გვერდიდან

მომავალი წლის გაზაფხულამდე, ევროპის საბჭოს საქართველომ ქვეყნის ადმინისტრაციულ-რეგიონული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია სრული სახით უნდა წარუდგინოს, ანუ თვითმმართველობის ევროპული ქარტიით აღებული ვალდებულება შეასრულოს. როგორც "არასამთავრობოთა კოალიცია" მიიჩნევს, პარლამენტმა კომიტეტის მიერ მომზადებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტი რომც დაამტკიცოს, გაზაფხულამდე კანონში ბევრი ცვლილების შეტანა მოუწევს. **"საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტი ქარტიის მოთხოვნებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის კომიტეტისეული ვარიანტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული, ფაქტობრივად, პოლიტიკური ორგანო ხდება. თვითმმართველობა კი მომსახურე ორგანო უნდა იყოს და არა პოლიტიკური. ჩვენი კანონპროექტი კი რეალურ თვითმმართველობას გულისხმობს,"** - კოალიციის წევრები კანონპროექტის ორი ვარიანტის შედარებას გვთავაზობენ.

სახელისუფლო ვარიანტის მიხედვით, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ერთდონიანი თვითმმართველობით განისაზღვრება, ანუ რაიონის დონეზე 65-მდე თვითმმართველი ერთეული ჩამოყალიბდება. კოალიციის ვარიანტი კი ორდონიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. პირველ დონეზე (ქალაქი, თემი) 300-მდე ერთეული ჩამოყალიბდება; მეორე დონეზე კი (რეგიონი, მხარე, ავტონომიური ერთეული) - 13 ერთეული. **"თვითმმართველობის რაიონულ დონეზე ატანა მოსახლეობასა და ხელისუფლებას მაქსიმალურად დააშორებს ერთმანეთს; რაიონებში შემავალ ქალაქებსა და ცენტრიდან დაშორებულ სოფლებს თვითმმართველობის გაუქმება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, სოფლები დაიცლება. ხელისუფლებას ერთდონიანი მმართველობა იმიტომ აძლევს ხელს, რომ ასე მოწყობილი ქვეყანა არჩევნების დროს იოლი სამართავი იქნება,"** - ამბობს დავით ლოსაბერიძე.

კანონპროექტის ორი ვარიანტი ცენტრსა და თვითმმართველ ერთეულს შორის ფინანსების განაწილების საკითხშიც ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება. სახელისუფლო ვარიანტის მიხედვით, დამოუკიდებელი ბიუჯეტი მხოლოდ თვითმმართველობის პირველ დონეზე არსებობს. არ არის განსაზღვრული გამოთანაბრებითი ტრანსფერის განაწილების პრინციპი. კოალიციის ვარიანტის მიხედვით კი, ორივე დონეზე თვითმმართველ ერთეულებს საკუთარი ბიუჯეტები აქვს. **"დღეს ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლებიდან მხოლოდ ქონებისა და სათამაშო გადასახადი რჩება. ყველა თვითმმართველ ერთეულში (თბილისის გარდა) გასაგზავნი სახელმწიფო ტრანსფერების ოდენობა კი 40 მილიონ ლარს არ აღემატება. არადა, თვითმმართველობამ რეალურად რომ იმოქმედოს, ქვედა დონეებს საკუთარი ფინანსური შემოსავლები საკმარისად უნდა ჰქონდეს და სახელმწიფო ტრანსფერიც უფრო უხვად და მიზნობრივად განაწილდეს. ტრანსფერები სამი მიმართულებით უნდა გაიყოს - მიზნობრივი ტრანსფერები, რომელიც მიზნობრივ პროგრამებს მოხმარდება, სპეციალური ტრანსფერები - სპეციალური დახმარების სახით, და გამოთანაბრებული ტრანსფერები, რომელიც მხოლოდ დაბალი შემოსავლების მქონე რაიონებში უნდა გაიგზავნოს. ჩვენი ვარიანტით, გამოთანაბრებული ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტის 5 პროცენტს უნდა შეადგენდეს,"** - ამბობს ირაკლი მელაშვილი.

"არასამთავრობოთა კოალიცია" ხელისუფლებისთვის საარჩევნო რეფორმის საკუთარი ვარიანტის შეთავაზებასაც აპირებს. როგორც "24 საათი" წერდა, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტმა მოამზადა საარჩევნო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობისა და საარჩევნო ოლქების შემცირებასა და კვოტების ახლებურად გადანაწილებას ითვალისწინებს. არასამთავრობოები აღნიშნულ კანონპროექტში ყველაზე მიუღებლად საარჩევნო კვოტების განაწილების პრინციპს მიიჩნევენ. **"შეიძლება, თბილისს 5 საარჩევნო მანდატი ჰქონდეს, აფხაზეთს კი - 6? ამას პოლიტიკური მიზანი აქვს. თბილისის მოსახლეობა პოლიტიკურად ბევრად უფრო განვითარებულია და, შესაბამისად, სახელისუფლებო პარტიასაც მოგების ნაკლები შანსი აქვს. ამიტომაც არის თბილისში ასეთი ცოტა მანდატი,"** - აცხადებს კოალიციის წარმომადგენელი ირაკლი მელაშვილი. თუმცა, თუკი ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ალტერნატიულ ვარიანტებს არ გაითვალისწინებს, საარჩევნო რეფორმის პროექტის შეთავაზებასაც აზრი დაეკარგება.

### მოკლედ

#### ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებმა პრაიმერი დადებითად შეაფასეს

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს 17 სექტემბერს ოპოზიციის მიერ ჩატარებული პრაიმერი.

ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საკმაოდ დიდი აქტიურობა იყო პრაიმერთან დაკავშირებით და ისინი მოხარულები არიან, რომ ოპოზიციამ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანება მოახერხა და ერთიანი ფრონტით წარდგა პრაიმერზე. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც დახურული შეხვედრის შემდეგ "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები იანვარში ასამბლეის სესიაზე ჩამოყალიბდებიან საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და რეზოლუციას მოამზადებენ, ან გარკვეულ რეკომენდაციებს, რომლის გათვალისწინებაც საქართველოსათვის უკვე სავალდებულო იქნება. **ინტერპრესნიუსი**

#### საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა

საქართველოს პარლამენტმა დღეს "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო. ამ ცვლილებების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად, საგარეო საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტი პირველი მოსმენით გარკვეული დათქმით მიიღო. როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დღეს, პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, კარგია, რომ პროცედურები, მარტივდება და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება საელჩოების მეშვეობით განხორციელდება. "მაგრამ ეს არ უნდა იყოს უკონტროლო პროცესი და იუსტიციის სამინისტროს, თუ საჭირო გახდება, დამატებითი ბერკეტი უნდა ჰქონდეს," - აღნიშნა ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული დეტალები კანონპროექტის მეორე მოსმენისას იქნება გათვალისწინებული, თუ ამას დეპუტატები საჭიროდ ჩათვლიან. **ინტერპრესნიუსი**

#### კონდოლიზა რაისმა ბეჟუაშვილს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გელა ბეჟუაშვილს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა.

ამასთან დაკავშირებით მან მინისტრს მისალოცი წერილი გამოუგზავნა. "ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნისა და თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თქვენ მიერ შეძენილი გამოცდილება მნიშვნელოვნად დაგვეხმარება მთელ რიგ საკითხებზე მუშაობის ერთობლივად წარმართვაში, მათ შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმედი მაქვს, რუსეთთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმის განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო კიდევ უფრო მტკიცედ დაადგეს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას," - ნათქვამია წერილში.

აშშ სახელმწიფო მდივანი, აგრეთვე, ხაზს უსვამს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ძლიერ და პარტნიორულ ურთიერთობებს, "რასაც მოწმობს ჩვენი თანამშრომლობა ერაყში და მსოფლიო დემოკრატიის განმტკიცების მიზნით განხორციელებულ საქმიანობაში." "გამოვთქვამ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობის შენარჩუნების სურვილს," - დასძენს წერილის დასასრულს კონდოლიზა რაისი. **მედიანიუსი**

#### პრეზიდენტი გორს ეწვია

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გორის რაიონის სოფელ კარალეთს ეწვია, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ახალი შენობა გახსნა.მიხეილ სააკაშვილი სამმართველოს პირად შემადგენლობას შეხვდა. პრეზიდენტმა პოლიციელებს შეახსენა, რომ ისინი ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან.

"მინდა ვუთხრა ჩვენი ხეობების მოსახლეობას: ნურაფრის შეგეშინდებათ. ქართული სახელმწიფო იცავს თქვენს უსაფრთხოებას და ხელშეუხებლობას. მინდა გავაფრთხილო შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც აქედან რამდენიმე კილომეტრში არიან, ყველას პასუხი მოგეთხოვებათ," - განაცხადა პრეზიდენტმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჯემალ ინაიშვილს დაბადების დღე ვიცე-სპიკერობით მიულოცეს

პირველი გვერდიდან

უმრავლესობისგან განსხვავებით, პარლამენტის თავმჯდომარის ახალი მოადგილის მიმართ ოპოზიციური ფრაქციების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: "მემარჯვენე ოპოზიცია" ინაიშვილს მძიმე ბრალდებებს უყენებს, მაშინ, როდესაც "დემოკრატიული ფრონტი" გაცილებით ლოიალურია.

**"იმ ადამიანებს შორის, ვინც აჭარიდან შეიძლებოდა ვიცე-სპიკერი გამხდარიყო, ბატონი ჯემალის პერსონა ჩვენთვის ყველაზე მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ "დემოკრატიულ ფრონტს" ინაიშვილის არჩევაში მონაწილეობა არ მიუღია, მისი ვიცე-სპიკერობით მაინც კმაყოფილები ვართ. სხვა შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი კობა ხაბაზს შეხვდებოდა, რაზედაც მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გვექნებოდა. მჯერა, რომ ჯემალ ინაიშვილი კარგი ვიცე-სპიკერი იქნება და შეძლებს, აჭარის რეგიონი ღირსეულად წარმოადგინოს,"** - აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

ამავე ფრაქციის ლიდერი დავით ზურაბიშვილიც ადასტურებს, რომ მის თანაგუნდელებთან ინაიშვილს ყოველთვის ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, ახალ ვიცე-სპიკერთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება პრობლემა არ იქნება.

სამაგიეროდ, "24 საათთან" საუბრისას, მკვეთრ განცხადებას აკეთებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ფიქრია ჩიხრაძე.

**"ჯემალ ინაიშვილს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ის, თავის დროზე, ძალიან ახლო ურთიერთობაში იყო შევარდნაძის ოჯახთან და, როგორც ამბობენ, ამ ოჯახისთვის ფულის ერთ-ერთი სერიოზული წყარო სწორედ მასზე გადიოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ შეაჩერა დღევანდელმა ხელისუფლებამ არჩევანი სწორედ მის კანდიდატურაზე,"** - შენიშნავს ოპოზიციონერი პარლამენტარი.



ინაიშვილი ვიცე-სპიკერის სავარძელში გადაინაცვლებს.

ფიქრია ჩიხრაძის ბრალდებას ჯემალ ინაიშვილი სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს. **"ეს იმდენად გაცვეთილი თემაა, რომ არა მგონია, ვინმეს აინტერესებდეს. მას, თავისთავად, პასუხი უკვე გაეცა - საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, ვინ რაში ილებდა მონაწილეობას. ჩემს მიერ შევარდნაძის ოჯახისთვის ფულის გატარებაზე საუბარი ისეთი აბსურდი და სისულელეა, რომ მასზე კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიმაჩნია. ასეთი "მოსაზრების" გამოთქმა კი ფიქრიას სინდისზე იყოს,"** - განუცხადა "24 საათს" პარლამენტის თავმჯდომარის ახალმა მოადგილემ.

რაც შეეხება ჯემალ ინაიშვილის სამომავლო გეგმებს, ვიცე-სპიკერის თქმით, მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ბათუმში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელის შეწყობა იქნება.

"24 საათმა" უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რამდენად რეალურია, რომ მომავალში ჯემალ ინაიშვილი ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდეს. ამ კითხვას დეპუტატები ასე პასუხობენ.

მიხეილ მაჭავარიანი: **"საამისოდ ყველა წინაპირობა არსებობს. თუ თავად ჯემალი მოინდომებს, ეს ნამდვილად ასე იქნება."**

დავით ზურაბიშვილი: **"არა მგონია, ასე მოხდეს, რადგან ინაიშვილი უფრო მეურნის, მენეჯერის ტიპს განასახიერებს და პოლიტიკოსის ნატურას ნაკლებად შეესაბამება."**

ლევან ბერძენიშვილი: **"დიდი პოლიტიკოსობის პოტენციალი მას, რა თქმა უნდა, აქვს. მინდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეობა მისთვის უკანასკნელი მაღალი თანამდებობა არ იყოს. ისე, ვიცე-სპიკერობა ისეთი თანამდებობაა, რომ შეიძლება დიდი პოლიტიკოსი გამოხვიდე, და შეიძლება ამ პოსტის უკან ისე დაიმალო, რომ პოლიტიკაში საერთოდ არ გაერიო."**

ფიქრია ჩიხრაძე: **"არა მგონია, რომ ინაიშვილმა სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბება მოახერხოს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბათუმის მაჟორიტარობა მას, უბრალოდ, დაავალეს. ხოლო როდესაც ასეთ რამეს გავალებენ, სხვა რამეებსაც დაგავალებენ. ამიტომ, ჯემალ ინაიშვილის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან შეზღუდული იქნება."**

# ოპერაცია ექვმიტანილის ლიკვიდაციით დასრულდა

**"ამ ტრიბუნიდან ვბრძანებ, მოვუწოდებ საქართველოს პოლიციის შემადგენლობას - არავითარ შემთხვევაში არ აგიკანკალდეთ ხელი, თუ დაინახავთ, რომ საფრთხე ექმნება პოლიციელის სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობას, ტერიტორიულ მთლიანობას, გამოიყენეთ იარაღი და მოახდინეთ კრიმინალთა ლიკვიდაცია ადგილზე",** - ასეთი ბრძანება სამთავრობო საათზე დაბარებულმა შს მინისტრმა საპარლამენტო ტრიბუნიდან გასცა.

მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება სისრულეში გუშინვე მოვიდა. გამსახურდიას გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში შესული მძარცველების დასაკავებლად საპატრულო პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ოპერაციის დროს ერთ-ერთი მძარცველი - 18 წლის ახალგაზრდა ადგილზე მოკლეს, მეორე მძიმედ დაიჭრა. მესამე მძარცველმა კი გაქცევა მოახერხა.

შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა განცხადებით, მათთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ ბინაში მძარცველები იმყოფებოდნენ და მეზობლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის მისვლის შემდეგ მძარცველებმა გაქცევა სცადეს, ერთ-ერთი მათგანი არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნას, რის შემდეგაც მისი ლიკვიდაცია მოხდა. მოსახლეობა მძარცველის ლიკვიდაციის ფაქტს აპროტესტებს.

საპატრულო პოლიციის უფროსის ზვიად ცაგარეიშვილის ინფორმაციით კი, **"მძარცველებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგაც პატრულმა იმოქმედა კანონის ფარგლებში",** - განაცხადა შემთხვევის ადგილზე მისულმა ზვიად ცაგარეიშვილმა.

ლიკვიდირებულის ვინაობას პოლიცია ჯერჯერობით არ ახმაურებს, უცნობია ძარცვაში ეჭვმიტანილი მეორე პირის ვინაობაც, რომელიც ოპერაციის დროს დაიჭრა.

*24 საათი*

# ვაჟა ადამია პატიმრობაში დატოვეს

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გუშინ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ხულიგნობის ბრალდებით დაკავებულ "მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარეს ვაჟა ადამიას აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. თელასის თანამშრომლის დაჭრაში ბრალდებული გუშინ სააპელაციო სასამართლოდან ბადრაგმა კვლავ ორთაჭალის იზოლატორში დააბრუნა.

ვარაუდი, რომ შესაძლებელი იყო ვაჟა ადამიას მიმართ წარდგენილი ხულიგნობის ბრალდება გადაკვალიფიცირებულიყო, არ გამართლდა.

ვაჟა ადამიას ადვოკატები გუშინ კვლავ ირწმუნებოდნენ, რომ ბრალდების მხარეს აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა და საქმე არაშესაბამისი მუხლით არის აღძრული.

**"ადამია თავს იცავდა, მისი საქმე ხულიგნობის მუხლით არ უნდა განიხილებოდეს"** , - აცხადებდნენ ადვოკატები. მათი ეს პოზიცია გუშინდელ სასამართლო პროცესზე, ისევე როგორც რამდენიმე დღის წინ საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე არ გაიზიარა ჯერ სახელმწიფო ბრალდებამ, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლომ.

"მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარის ახლობლები, ისევე როგორც მისი ინტერესების დამცველები გუშინდელ პროცესზე კვლავ აცხადებდნენ, რომ გამოძიებამ ყველანაირად აარიდა თავი ობიექტური მოწმეების დაკითხვას, რადგან გამოძიებას არ სურდა, სააპელაციო სასამართლოში მოწმეების არგუმენტები წარედგინა.

**"გამოძიებას საკმაოდ მყარი მტკიცებულებები აქვს ვაჟა ადამიას ბრალეულობის დასადასტურებლად, რაც მისთვის წარდგენილი ბრალდების საფუძველი გახდა. წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, ბრალდებულმა ხელი შეუშალოს გამოძიებას, ამიტომ მისთვის შერჩეული აღმკვეთი ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა კანონიერი და ზუსტია",** - ასეთია პროკურატურისა და სააპელაციო სასამართლოს პოზიცია.

*24 საათი*

# მერაბიშვილმა ორატორობით ოპოზიციას აჯობა

პირველი გვერდიდან

**ალბათ, უფრო საკომიტეტო განხილვების საგანი უნდა იყოს. ოპოზიციამ მეტ-ნაკლებად გამოიყენა რეგლამენტით გათვალისწინებული 3 წუთი, თუმცა შეიძლებოდა საკითხებზე უფრო კონკრეტული აქცენტი გაკეთებულიყო, რაც ოპოზიციამ დამაკმაყოფილებლად გამოიყენა, მაგრამ არა კარგად, ან ფრიადზე. იყო მწვავე, მაგრამ, ძირითადად, შეფასებითი ხასიათის განცხადებებიც, რაც პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სამთავრობო საათის შედარებით შეზღუდული რეგლამენტის პირობებშიც კი შეიძლებოდა ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები საკითხების შესახებ მეტი მსჯელობა. ასევე შეიძლებოდა, ოპოზიციას ეცადა, თავად მოეძია კრიმინალთან ბრძოლის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები და უფრო მომზადებული დახვედროდა ოფიციალურ ციფრებს. რაც შეეხება ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორიც დეპუტატ გელაშვილის შემთხვევაა, ეს უნდა იყოს ობიექტური გამოძიების, გამოძიებასთან თანამშრომლობის და მასზე მუდმივი საზოგადოებრივი თუ საპარლამენტო მონიტორინგის თემა.**

**საერთო ჯამში, მინისტრი უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე დეპუტატთა კორპუსი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მინისტრი ყოველდღიურადაა დაკავებული იმ საკითხებით, რაზეც დეპუტატებს არასრული წარმოდგენა აქვთ. აქედან ერთი დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს: დეპუტატთა კორპუსს სჭირდება აპარატის, თანაშემწეთა ინსტიტუტის სერიოზული გაძლიერება."**

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე ოპოზიციას აკრიტიკებს, ხოლო სამთავრობო საათზე მათ უსუსურობას იმით ხსნის, რომ ოპოზიცია მთავრობის მუდმივი კრიტიკითაა დაკავებული. **"მერაბიშვილის მხრიდან ასეთ გამოსვლას ნაკლებად ველოდი. არც მოუმზადებელი იყო და არც სუსტი პასუხები გაუცია, როგორც ეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს. რაც შეეხება იმ კითხვებს, რაზეც მისმა ავტორებმა ვერ მიიღეს პასუხი, მათზე არათუ შინაგან საქმეთა მინისტრს, არამედ გენერალურ პროკურორს უნდა ეპასუხა. სამაგიეროდ, არ დასმულა ის კითხვები, რაზეც მერაბიშვილს უნდა გაეცა პასუხი. მაგალითად, რატომ არ ხდება რეფორმა? საპატრულო პოლიციის შექმნა სისტემის რეფორმას არ ნიშნავს. კითხვაზე, თუ რატომ ჰყავთ დავით კეკუა და მისთანები კვლავ პოლიციაში, მერაბიშვილი დადებით პასუხს ვერ გასცემდა. ის, რომ ოპოზიციამ მწვავე კითხვები არ დასვა, არა მარტო ოპოზიციის, არამედ საზოგადოების პრობლემაცაა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიციას არ აქვს რეალური წარმოდგენა, თუ რა ხდება პოლიციის სისტემაში."**

თუთბერიძის კოლეგა ლევან რამიშვილი ამბობს, რომ სამთავრობო საათზე, პარლამენტარ გელაშვილის ცემის ფაქტზე დასმული კითხვების გარდა, სხვა განსაკუთრებით მწვავე კითხვა არ დაამახსოვრდა: **"თუ ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკურ შეხედულებებს შევაფასებთ, ხელისუფლება უფრო დამაჯერებელი ჩანდა, ვიდრე ოპოზიცია.**

**რეგლამენტს ვერაფერს დააბრალებ, რადგან 3 წუთში კითხვა უნდა დასმულიყო. მით უმეტეს, დაისვა კითხვები, რომელთათვისაც 3-წუთიანი რეგლამენტი არ აღმოჩნდა დამაბრკოლებელი გარემოება. გარდა ამისა, შეიძლებოდა საინტერესო კითხვების განაწილება რამდენიმე დეპუტატზე, რაც არ მომხდარა. როგორც ჩანს, პარლამენტში მოუმზადებელ მინისტრს ელოდნენ, რომელიც, როგორც ცნობილია, ორატორული ნიჭით არ გამოირჩევა. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ შემდეგი დებატები უფრო მწვავე იქნება. არა განცხადებების თანმდევი ემოციური ფონით, არამედ საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე დაისმება ის საკითხები, რაც საზოგადოებისთვისაა საინტერესო."**

# ასრულებს თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტის დანაპირებს

ხუთშაბათს პარლამენტში სამთავრობო საათზე მისულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თავისუფლების მოედანზე გამოსვლის დროს ხელყუმბარის სროლაში დადანაშაულებული ვლადიმერ არუთინიანის დაკავების ოპერაციის მიმდინარეობისას დაღუპული პოლიციის ოფიცრის ზურაბ ქვლივიძის ოჯახს შინაგან საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტის დანაპირებს აუცილებლად შეუსრულებს. მინისტრის თქმით, ბინის შესაძენად თანხა უკვე გამოყოფილია და ოჯახმა სასურველი ბინა უნდა შეარჩიოს.

მინისტრის სიტყვების საპირისპიროდ, დაღუპულის ოჯახი აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ასრულებს პირობას, რომელიც მათ პრეზიდენტმა მისცა.

როგორც ცნობილია, დაღუპულის ოჯახს მათთან სამძიმარზე მისული პრეზიდენტი ბინის ჩუქებას დაჰპირდა.

დაღუპული ოფიცრის მეუღლე სვეტლანა ქვლივიძე სააგენტო "პრაიმ-ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ ოქტომბერში სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრიდან მართლაც დაუკავშირდნენ და სასურველი ბინის მოძებნა შესთავაზეს. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტოს თანამშრომლებმა მათ ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოში მდებარე ოროთახიანი ბინა უჩვენეს, რომელიც 35 ათას აშშ დოლარად იყიდებოდა. სამინისტროს წარმომადგენელთა პირობით, აღნიშნული თანხიდან ბინის საყიდლად შს სამინისტრო 25 ათას დოლარს გადაიხდიდა, დარჩენილი თანხა კი ქვლივიძის ოჯახს უნდა დაეფარა.

სვეტლანა ქვლივიძე აღნიშნავს, რომ, რადგანაც ოჯახს საჭირო 10 ათასი აშშ დოლარი არ გააჩნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა შესთავაზეს, ეს თანხა ერთჯერადი დახმარების სახით მიღებული 15 ათასი ლარიდან დაეფარათ.

**"აღნიშნული ფული ოჯახმა მარჩენალის დაკარგვის საკომპენსაციოდ მიიღო და ვალდებულნი არ ვართ, ის სახელმწიფოს მიერ დაპირებული საჩუქრის შესაძენი თანხისთვის დაგვემატებინა",** - ამბობს ქვლივიძე. მისივე თქმით, ოჯახმა შეარჩია ბინა დიღმის მასივში, რომლის ყიდვაზეც შინაგან საქმეთა სამინისტრომ, "ვაშლიჯვართან" სიახლოვის მოტივით, უარი თქვა და ოჯახს ისევ ვაჟა-ფშაველაზე ბინის ყიდვა ურჩია.

სხვათა შორის, გუშინ ამ ფაქტის თაობაზე სამთავრობო საათის მსვლელობისას განცხადება გააკეთა ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელმა კახა კუკავამ, რაზეც მინისტრისგან პასუხად მიიღო, რომ ეს სიცრუეა და სამინისტროს გასასაღებელი ბინები არ აქვს, ხოლო ქვლივიძის ოჯახს უკვე პარასკევს გაუფორმებენ ნაჩუქარ ბინას დიღმის მასივში.

*24 საათი*

# რისთვის და ვისთვის იცვლება დედაქალაქის ბიუჯეტი ამჯერად?

პირველი გვერდიდან

ის ფაქტი, რომ თბილისის ბიუჯეტი ექვსი თვის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა, ქალაქის პრემიერისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მეტიც, თემურ ქურხული ამბობს, რომ ბიუჯეტი ტრანსფორმაციას მომავალ წელსაც აუცილებლად განიცდის. **"ვერ ვიტყვი, რომ ბიუჯეტის 19-ჯერ ცვლილება ბევრია, თუმცა არც ცოტა უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი გამოწვეული იყო რიგი ობიექტური მიზეზებით, ძირითადად - იმ საკითხების წამოწევით, რომელიც ქალაქისთვის იმ მომენტისთვის აღმოჩნდა სტრატეგიული. ნებისმიერ ქვეყანაში ბიუჯეტში ცვლილებებს ყოველთვის აქვს ადგილი. თუმცა ვაღიარებ, ის ისე უნდა იგეგმებოდეს, რომ მომავალში მასში შესატანი ცვლილებების აუცილებლობა მინიმუმამდე იყოს შემცირებული,"** - გვითხრა ქალაქის პრემიერმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ ეკონომიკურ ექსპერტებს. მათი შეფასებით, ბიუჯეტის ასეთი ხშირი ცვლილება ქალაქის ხელმძღვანელობის, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობით არის გამოწვეული. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დავით ნარმანია, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგში აქტიურად არის ჩართული, აცხადებს: **"ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქის მთავრობას წინასწარ არა აქვს განსაზღვრული ის პრიორიტეტები, რომელ პრიორიტეტებზეც უნდა იყოს ბიუჯეტი მორგებული."**

საზოგადოების დიდ ნაწილში ქალაქის ბიუჯეტის ასეთი ხშირი ცვლილება ბუნებრივად აჩენს კითხვებს და გარკვეულ ეჭვებს. ვისთვის და რისთვის იცვლება თბილისის ბიუჯეტი ამჯერად?

თვალის მარტივი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ეს ცვლილება ერთი კონკრეტული სამსახურისთვის, კერძოდ, თბილისის კეთილმოწყობის სამსახურისთვის კეთდება. ქალაქის ხელმძღვანელობის ინიციატივით ამ უწყებას ხარჯები წლის ბოლომდე დარჩენილ ორ თვეში კიდევ 3 მილიონ 420 ათასი ლარით ეზრდება. აღსანიშნავია, რომ კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტის ზრდა ამჯერადაც სხვა სამსახურებისა და სხვადასხვა პროგრამების შემცირების ხარჯზე ხდება.

საყურადღებო დეტალი: კეთილმოწყობის სამსახურის მთელი წლის ბიუჯეტი, ბოლო მონაცემებით, 132 მილიონ ლარს აღწევს, რაც ქალაქის მთლიანი ბიუჯეტის თითქმის 30 პროცენტია.

არავინ დავობს იმაზე, რომ ქალაქში ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს და ამაზე ადგილობრივი მთავრობა უნდა ზრუნავდეს. მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თბილისს ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი გადაუჭრელი სოციალური პრობლემა დაუგროვდა (მიწისძვრით დაზარალებულები, უამრავი ავარიული შენობა და სხვა), აშკარა ხდება - ქალაქის ხელმძღვანელობა აქცენტებს არასწორად აკეთებს და განსაზღვრული პრიორიტეტებიც არაეფექტურია.

ცალკე საკითხია, რამდენად გამჭვირვალედ და ეფექტურად იხარჯება ქალაქის კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი თანხები. ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ამ საკითხში ნულის ტოლია. მეტიც, როგორც ექსპერტი დავით ნარმანია ირწმუნება, ორი თვეა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია ხსენებული სამსახურისგან წელს გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ითხოვს. **"მიუხედავად ჩვენი ხელმეორე შეხსენებისა, მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხი ჯერ კიდევ არ მიგვიღია,"** - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

საზოგადოების და ექსპერტების პრეტენზიები, გამჭვირვალობის გარდა, შესრულებული სამუშაოების ხარისხსაც ეხება.

## რის ხარჯზე იზრდება კეთილმოწყობის ბიუჯეტი?

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კეთილმოწყობის სამსახურის გარდა, დარჩენილ ორ თვეში ბიუჯეტი ქალაქის სხვა უწყებებსაც ეზრდება. თუმცა, კეთილმოწყობასთან შედარებით, მათი გაზრდილი ხარჯები მეტად მოკრძალებულია. მაგალითად, ზედამხედველობის ინსპექციის საქალაქო სამსახურის ხარჯები, თბილისის მთავრობის ინიციატივით, 173 ათას 700 ლარით იზრდება, საქალაქო ინფორმაციის სამსახურის ხარჯები - 28 ათასით, მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურის ("თბილისის კორპუსის") ხარჯები - 360 ათასით, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების პროგრამა - 185 ათასით, რიყის ტერიტორიის განაშენიანების მოსამზადებელი სამუშაოები - 168 ათასი ლარით.

თუ რის ხარჯზე იზრდება კეთილმოწყობის სამსახურის, სხვა სამსახურებისა თუ პროგრამების ხარჯები, ეს ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ციფრითაც ნათელი ხდება. ადმინისტრაციული ინსპექციის ხარჯები 91 ათას 600 ლარით მცირდება, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ხარჯები - 3 მილიონ 445 ათასით, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის - 62 ათასით, გარემოს დაცვის კომიტეტის - 39 ათასით, ვეტერინარიის სამმართველოსი - 30 ათას 700 ლარით, ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" - 35 ათასით, ისანი-სამგორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები - 50 ათასით, ბავშვთა კარდიოქირურგიული მკრნალობის პროგრამა - 404 ათასით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები - 53 ათასით, სოციალური დაცვის პროგრამები - 180 ათასით.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ბიუჯეტის გარკვეული მუხლები, ბოლო ცვლილებების მიხედვით, საერთოდ ამოღებულია. ასე მაგალითად: უსახლკაროთა ღამის თავშესაფრისთვის გამოყოფილი თანხა 63 ათასი ლარი, ვაშლიჯვარში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული 300 ათასი ლარი, დიდი დიღმის მაგისტრალური გზის სანიაღვრე წყლების მოცილებისთვის 200 ათასი, საჭადრაკო სკოლისთვის 100 ათასი და სხვა.

აი, როგორ აფასებს ეკონომიკური ექსპერტი, საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი კახა იმერლიშვილი მთავრობის ზემოხსენებულ ინიციატივას: **"აბსოლუტურად გაურკვეველია, თუ რა პრინციპით მოხდა ამა თუ იმ მუხლის გაზრდა ან შემცირება. ეს ცვლილებები, როგორც სხვა წინა, ისეთ შთაბეჭდლებას ტოვებს, რომ ეს არის პოპულისტური ნაბიჯები და ის გარკვეულ "პიარზეა" გათვლილი. აშკარაა, რომ ქალაქის მერიას არა აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, თუ რა უნდა გააკეთოს ქალაქში."**

## მოკლედ

### პოლიციელები ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს

ზუგდიდის პოლიციის ორი თანამშრომელი - ოფიცერი დავით ფიფია და რიგითი დემნა შარია ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს.

ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების ფაქტი მათი ნარკოლოგიური გამოკვლევისას გამოვლინდა - კერძოდ კი, პოლიციის თანამშრომელთა სისხლში მარიხუანას გამოყენების კვალი აღმოაჩინეს.

მოქმედი კანონმდებლობით, პოლიციის თანამშრომლები ადმინისტრაციულ სასჯელს დაექვემდებარებიან.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადების თანახმად, ბოლო ხანებში ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე 11 პოლიციელია მხილებული.

*ჯი-ეჩ-ენი*

### გორელი ადვოკატები წინასწარ პატიმრობაში რჩებიან

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გორში დაკავებული ადვოკატები მამუკა ნოზაძე და მარინა მაზანაშვილი წინასწარ პატიმრობაში რჩებიან.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაკავებული ადვოკატების დაცვის მხარის შუამდგომლობა. ისინი გორის რაიონული სასამართლოს 5 ნოემბრის ბრძანებით გაუქმებას მოითხოვდნენ, რომლითაც ადვოკატებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ.

ნოზაძე და მაზანაშვილი გორელმა სამართალდამცველებმა თაღლითობის ბრალდებით 3 ნოემბერს დააკავეს. მათ, ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, 2-დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. მამუკა ნოზაძის განცხადებით, მისი დაკავება შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მიხელ აბულაძის პირად ინტერესებს უკავშირდება, რადგან, როგორც ნოზაძე განმარტავს, აბულაძის მიზანია, შიდა ქართლის მხარეში შიშის სინდრომი დათესოს.

როგორც ნოზაძე განმარტავს, - **"ვინაიდან იგი ერთ-ერთი ნაყოფიერი ადვოკატია და ბრალდების მხარის მითითებებს არ ემორჩილება, ამგვარ ურჩ ადვოკატებს სამხარეო პროკურატურაში ამგვარი უკანონო ფორმით უმკლავდებიან".**

სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

*ინტერპრესნიუსი*



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# "Птичку жалко..."

ამას წინათ ტელეკომპანია "იმედის" ახალ გადაცემას "ალავერდი შენთან" ვუყურე. გადაცემის მონაწილეებზე, ანუ ტელეკამერის წინ გაშლილი სუფრის წევრებზე არაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი სიმპათიური ქართველი ახალგაზრდაა და ყველანი ერთად კი შესანიშნავად მღეროდნენ. გადაცემის ავტორები, წამყვანი კი, მგონია, ცალკე საუბრის თემაა! სპეციალურად ტიტრებს დაველოდე, რათა გამეგო, ამგვარი პროექტის იდეა ვის დაებადა. როდესაც ავტორთა შორის პირველი ტელეკომპანია "იმედის" მთავარი პროდიუსერის ვილჩეკის გვარი ამოვიკითხე, უნებლიეთ კინოფილმი "Кавказская пленница" და მისი მთავარი გმირი, შურიკა გამახსენდა, რომელიც კავკასიაში კოლორიტული სადღეგრძელოების შესაგროვებლად ჩამოვიდა და თამამი ჩიტის სადღეგრძელოდ თქმულ ლეგენდაზე ცხარე ცრემლებით ტიროდა - "Птичку жалко..." რუსეთიდან ჩამოსული თუნდაც ძალიან პროფესიონალი პროდიუსერისგან ქართული სუფრის ამგვარი კიტჩი დიდად არ გამკვირვებია. მე ჯერ არც ერთი რუსი სტუმარი არ მინახავს, რომელსაც ქართული სუფრის ტრადიცია, სილამაზე, ქეიფის კულტურა, მისი მთავარი სიღრმეები, ღირებულებანი ბოლომდე გაეგო, სწორად აღექვა. გადაცემის ორი დანარჩენი ავტორისგან, ოთარ შამათავასა და ბიძინა ბარათაშვილისგან კი, რაღა დაგიმალოთ, ამგვარი შემოქმედებითი შეცდომა (რბილად რომ ვთქვა) ნამდვილად გამიკვირდა. ბიძინა ბარათაშვილზე ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ არ ვიცი, სუფრაზე არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ ოთარ შამათავასთან ერთად ქეიფში არაერთხელ ვყოფილვარ და მინდა გითხრათ, რომ მის თამადობას, სუფრის წაყვანის ნიჭს, კულტურას, თავისუფალ, იუმორით გამორჩეულ მანერას არაფერი სჯობია. თამადის ამპლუაში ოთარ შამათავა, მერწმუნეთ, შთამბეჭდავი, დაუვიწყარი და ქართული სუფრის საუკეთესო ტრადიციების ჭეშმარიტი გამგრძელებელია. ამდენად, ჩემთვის პირადად ძალიან გასაკვირი, აუხსნელია, რომ სწორედ შამათავა ვერ მიხვდა, რომ ქართული სუფრის ამგვარი ეკრანიზაცია, გახელოვნურება მის მთავარ ღირებულებებს, მომხიბვლელობას, უნიკალურობას სრულიად გააუფასურებდა. კამერის წინ სცენარის მიხედვით დადგმული, ნაფიქრი ქეიფი, ხუმრობა და, თუ გნებავთ, სიმღერაც კი, თავის პირვანდელ კოლორიტულ სახეს დაკარგავდა.

სამწუხაროდ, გადაცემის მხატვრის ვინაობის ტიტრებში ამოკითხვა ვერ მოვასწარი. ისე კი, საინტერესოა, ვის, როგორ და რატომ მოაფიქრდა იაფფასიანი რესტორნების მსგავსად მაგიდებზე გაურკვეველი ფერისა და ზომის ხელოვნური ნაჭრის სუფრების გადაფარება. ან ფიროსმანის, ან გუდიაშვილის ნახატები ენახათ, ან ვინმე პროფესიონალი მხატვრისთვის ან, თუნდაც, ნაკლებად მეშჩანისთვის ეკითხათ და ჩეხური სერვიზის ორ-ორი თეფშის ერთმანეთზე დადებისა, ნეილონის ხელსახოცებისა და პატარ-პატარა თეფშებზე "ზაკუსკის" ჩამოლაგების ნაცვლად, სუფრა მართლაც რომ ქართულად გაეშალათ.

გადაცემის წამყვან, ვინმე რუსუდან შანიძესთან ვერანაირი პრეტენზია ვერ მექნება. რა ქნას, როგორიც არის, ისეთია. რასაც ვერ ვიტყვი იმათზე, ვინც იგი გადაცემის წამყვანად შეარჩია. ძალიან საინტერესოა, რა კრიტერიუმების, პარამეტრების მიხედვით მოხდა მისი კანდიდატურის დამტკიცება? ნუთუ კასტინგიც ჰქონდათ? ვერაფრით დავიჯერებ! ალბათ იფიქრეს, რომ კარგ, მხიარულ ქეიფს ერთი პატარა ჩიტიჩიტუნიაც მოუხდებოდა?!

საინტერესოა, ავტორების მხრიდან გადაცემის შექმნის იდეა რა იყო? რისი თქმა, რისი ჩვენება უნდოდათ? ნუთუ სერიოზულად თვლიან, რომ პროექტი შედგა?

ძალიან მინდა, რომ ჩემს მიერ ნანახ გადაცემაში მონაწილე მოქეიფეებმა მოიგონ მაინც. ჩემი წერილი მათ სრულებით არ ეხება. ეს პროექტი-კიტჩი კი აღარ გაგრძელდეს, რა მოხდა! სცადეს და არ გამოვიდა. ეგეთები მომხდარა? თუმცა, უცნაურია, ვილჩეკს თუ არა, თითქოს ქართველ ავტორებს წინასწარ უნდა სცოდნოდათ, რომ არც გამოვიდოდა. საქართველოში დადგმულად, ხელოვნურად, სცენარის მიხედვით და თან ასეთ ინტერიერსა და სუფრასთან, არასდროს ქეიფობდნენ და დღესაც ვერ იქეიფებდნენ.

# თავისუფალი პრესის თავისუფალი ვარდნა

8-9 ნოემბრის გაზეთ "ალიაში" გამოქვეყნდა წერილი სათაურით "რუსთავი-2" სკანდალში ეხვევა". მე არ ვიცი, რაში ეხვევა ცნობილი ტელეკომპანია, მაგრამ აი, "ალია" რომ სკანდალზე უარესში უკვე გახვეულია, ეს კი ფაქტია.

ეტყობა, გაზეთის მუშაობის პროფესიულმა და, თუ გნებავთ, ჭორიკნულმა ზღვარმა იმდენად აიწია (თუ დაიწია?), რომ რედაქცია ახლა უკვე ლათინური ამერიკის ქვეყნების სერიალების მსგავსი სიუჟეტების მოგონებაზე გადავიდა. "ალიამ" "რუსთავი-2"-ის შესაძლებელი სკანდალი არასაკმარისად სკანდალურად მიიჩნია და თემის უფრო ფართოდ, საინტერესოდ გასაშლელად, მე, როგორც ბრაზილიური საპნის ოპერის ერთ-ერთ გმირს, ჩემთვის დღემდე უცნობი, ახალი, მეოთხე შვილი, ვინმე ანა ცაბაძე აღმომიჩინა. ალბათ, "ალიას" ანას დაბადებასთან დაკავშირებით რაიმე მძაფრსიუჟეტიანი, მხოლოდ ამ გაზეთისთვის ან სერიალისთვის დამახასიათებელი ვერსიაც ექნება (ან სამშობიაროში მომპარეს, ან ბოროტმა დედინაცვალმა გადამიმალა, ან...). ანას არსებობის შესახებ, მართალია, არაფერი ვიცოდი, მაგრამ ჩემი ძლიერი მფარველებისა და მეგობრების მეშვეობით მოსკოვში "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტად კი მაინც მომიწყვია! ყოჩაღ მე! თუ არა, უფრო სწორად, ყოჩაღ "ალია". მუშაობა ასე განაგრძეთ! მიმართულებას, გეზს ნუ შეიცვლით! ხარისხს გაუფრთხილდით, დონე არ დაწიოთ!

# კინო ყველას უნდა














ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე თბილი, კოლორიტული, ღიმილითა და ბედნიერებით აღსავსე მოგონება კიკეთის ღია კინოსთან არის დაკავშირებული, რომელშიც მთელი ზაფხულის განმავლობაში, კიკეთის ყველა დამსვენებელი სკამებით, პლედებითა და ფანრებით შეიარაღებულები, როგორც სამსახურში, ისე დავდიოდით და трофейный ფილმებიდან დაწყებული, ქართული კინოთი დამთავრებული, ყველაფერს ვუყურებდით. ღია კინოს მოუხერხებელ, უზურგო ხის სკამებზე ვისხედით, მზესუმზირას ვაკნატუნებდით. სატირალზე ცხარე ცრემლებით ვტიროდით, სასაცილოზე გიჟებივით ვიცინოდით. "არაჩვეულებრივი შვიდეულის" დიალოგებს ზეპირად ვიმეორებდით და მე პირადად, ერთზე ვოცნებობდი, რომ ეს სიამოვნება ბოლომდე მაქსიმალური ყოფილიყო და სეანსის დამთავრებისთვის ყველას დასანახად ბებიაჩემს ჩემთვის არ მოეკითხა. იმ სიცილ-ტირილში, პრანჭვასა და პამპულობაში, სწორედ კიკეთის, ახლა რომ ვფიქრობ, უბადრუკ კინოში მსოფლიო კინემატოგრაფიის ნამდვილი შედევრები მაქვს ნანახი. დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ასეთივე თბილი მოგონებები აქვთ წყნეთში დამსვენებელ ჩემი თაობის წარმომადგენლებს. წყნეთის ასევე ღია კინო, კიკეთის კინოსთან შედარებით, ერთი საფეხურით მაღლა იდგა, ორივე კი კოჯრის კინოს, მახსოვს, სჯობდა.

წლების განმავლობაში ჩვენი შვილების თაობა კინოში სიარულის სიამოვნებას მოკლებული იყო. მართალია, დღეს თბილისში, ბათუმში ახალი, თანამედროვე სტანდარტების კომერციული კინო-თეატრები გაიხსნა, მაგრამ ალბათ არავინ შემეკამათება, რომ ეს, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის. რა დააშავა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდობამ, რომელმაც ზრდასრულ ასაკს ისე მიაღწია, რომ კინოში ერთხელაც არ არის ნამყოფი. მაგალითად, სოფელ გონიოში (აჭარა) 20-25 წლის მკვიდრებს წარმოდგენაც არა აქვთ, კინოდარბაზი როგორ გამოიყურება, კინოჩვენება როგორ მიმდინარეობს და ჩარლი ჩაპლინი კი არა, სერგო ზაქარიაძეც არ გაუგიათ.

არადა, ჩვენი თაობისთვის კინო არა მარტო სანახაობა, გართობა, არამედ წიგნის, თეატრის პარალელურად, ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთი საშუალება იყო, რომელსაც დღეს, ფაქტობრივად, მთელი საქართველო მოკლებულია. კინო-თეატრები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს, პრეზიდენტმა ბრძანა, მაგრამ ვინ, როგორ, რა ტექნიკური თუ ფინანსური საშუალებით უნდა აღადგინოს ამ კინო-თეატრებში კინოჩვენებები, ამაზე, მგონია, ჯერ არავინ ფიქრობს, არავინ ჩქარობს.

თბილისი მართლაც მოულოდნელობებით აღსავსე ქალაქია, რომელშიც უამრავი სასიამოვნო სიურპრიზი გველოდება. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ 1997 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს კავშირი საბავშვო კინოცენტრი "ფიფქია", ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია კინოხელოვნების პოპულარიზაცია, კინოლექტორიუმების, თემატური კინოჩვენებების ორგანიზება, საქველმოქმედო (უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი ბავშვები), საიუბილეო კინოჩვენებების მოწყობა, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების რეგიონებში და ჯარში განხორციელება.

დღესდღეობით საბავშვო კინოცენტრი "ფიფქია" სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის სარდაფში არის დაბინადრებული, რომელიც მათ კოლეჯის დირექტორმა მზია აფრიდონიძემ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დროებით დაუთმო.

კინოცენტრის მიერ წლების მანძილზე განხორციელებულ ღონისძიებათა სრულ ნუსხას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი. ამას ჩემი რუბრიკისთვის გამოყოფილი გვერდი არ ეყოფა. მოკლედ კი მაინც გეტყვით, რომ 2003 წლიდან დღემდე ხორციელდება ავტოკინოჩვენებები თბილისისა და რეგიონების მოსახლეობისთვის. 2004 წელს თავდაცვის სამინისტროსა და კინოცენტრის ერთობლივი პროექტის შედეგად ოსიაურში, ქურთაში, აჩაბეთში კინოჩვენებები მოეწყო. 1998-2005 წლებში კინოცენტრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა 85000-ზე (აქედან 6700 უნარშეზღუდული) მეტმა კინომოყვარულმა და 1500-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო, განხორციელდა 20-ზე მეტი კინოპროგრამა, პროექტი. ოთხი დოკუმენტური ვიდეოფილმი იქნა გადაღებული. 2005 წელს კინოცენტრის ბაზაზე "კინოს ისტორიის მუზეუმი" შეიქმნა.

კინოცენტრში ნანახისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ვერაფრით დავმალავ: კინოს შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა, ძველი თუ ახალი აფიშები, ასობით უნიკალური 16 მმ და 25 მმ ფირები, კინოჩვენებისთვის აუცილებელი პროფესიონალური აპარატურა, რეგიონებში არსებული კინობაზების სრული ნუსხა, ზუსტი ინფორმაცია, ქართული თუ მსოფლიო კინემატოგრაფის შედევრების საიუბილეო თარიღების სიები, აღნიშვნის პროექტები, არქივი და უამრავი სხვა რამ, რაც დღევანდელ საქართველოში თემატური კინოჩვენებების განსახორციელებლად არის აუცილებელი და საკმარისი. მთელი ეს საგანძური კი კინოცენტრის თანამშრომელთა გასაკვირი და ჩვენთვის, სამწუხაროდ, ასეთი უჩვეულო ენთუზიაზმით გვირგვინდება. მგონია, რომ ძნელად მოიძებნება სხვა რაიმე პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც ასეთი ხალისითა და დარწმუნებით გიპასუხებს, რომ, მაგალითად სენაკში, სადაც მათი ინფორმაციით 200-მდე კინოფირი დევს, კინოს ამუშავება ხვალვე შეიძლება. ძნელია ასეთი მონდომებულობის დაუფასებლობა, რომლის საფუძველზე კინოცენტრის ჯგუფი მზადაა, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს სხვადასხვა სკოლაში საგანმანათლებლო კინოჩვენებები მოაწყოს. მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი აჩვენოს. მით უმეტეს, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ქართველ მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა თაყაიშვილის შესახებ არაფერი იცის. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინტერესებში უნდა იყოს, რომ მათ საჯარისო ნაწილებში უფრო ხშირად, სისტემატურად მოეწყოს კინოჩვენებები. არსებობს საშუალება, რომ უმძიმეს სოციალურ პირობებში მყოფი რეგიონების, ცალკეული სოფლების მოსახლეობა საღამოს ექსპრომტულ კინოდარბაზში შეიკრიბოს და ჩარლი ჩაპლინის გენიაზე გულით იცინოს, ბავშვებმა კი დისნეის "ფიფქია და შვიდი ჯუჯა", "ბემბი" ან "ჩხიკვთა ქორწილი" ერთხელ მაინც ნახონ.

კინოცენტრში მისულმა უამრავი ისეთი რამ გავიგე, რაც, ჩემდა სამარცხვინოდ, ნამდვილად არ ვიცოდი. მაგალითად, რომ ძმები ლუმიერების ფილმები თბილისში პირველად 1896 წელს უჩვენეს; რომ 1900 წელს მამა-შვილი დიღმელოვები ქუთაისის თეატრში პრემიერას მართავენ, სადაც ნაჩვენები იყო "ბუნდოვანი სურათები" მიხეილ ზიჩის მიერ შექმნილი "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები; რომ 1905 წელს მუშტაიდის ბაღში ივანიცკაიას მეშვეობით კავკასიაში პირველი "კინოსტაციონარი" - 150-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრი ამუშავდა, რომ პირველი ქართული მულტიპლიკაციური ფილმი "არგონავტები" 1935 წელს ლ. გუდიაშვილის ნახატების მიხედვით იყო შექმნილი!

მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი და სხვა უამრავი საინტერესო ინფორმაცია ყველამ გაიგოს? რატომ არ შეიძლება, რომ ბავშვებმა, მოზარდებმა ცხოვრების პირობებისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად, მულტფილმები, საბავშვო ფილმები ნახონ? რატომ არ შეიძლება, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა "რემბოც" და "ჯარისკაცის მამაც" ნახონ? რატომ არ შეიძლება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სიამოვნების, გართობის პარალელურად ინტელექტუალურად განვითარების ელემენტარული საშუალებაც მიეცეს, თუ ამ ყველაფრისთვის კინოცენტრი "ფიფქია" და მისი ენთუზიასტი წევრები მზად არიან. რატომ არ შეიძლება, რომ მათი გეგმები - გამოჩენილი ქართველი კინომოღვაწეების იუბილეების აღნიშვნა, კონფლიქტურ ზონებში, ჯარში, ახალგაზრდულ-პატრიოტულ ბანაკებში, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებებში, რეგიონებში, შორეულ, მთიან სოფლებში ავტოკინოჩვენებების მოწყობა - რეალიზებული იქნეს? კინოცენტრ "ფიფქიას" აქვს გამოცდილება, აუცილებელი კინობაზა და სურვილი. მაშ რატომ არ უნდა იყოს ეს ყველაფერი გამოყენებული, ამუშავებული? ნუთუ ყველაფერი მხოლოდ ფულია?!

მაგრამ ფულსაც ხომ გააჩნია! როდესაც საუბარი მიზერულ თანხებზეა, მაშინ იბადება ეჭვი, რომ საქმე მხოლოდ ბიუროკრატიული აპარატის პასიურობასთან გვაქვს. განა მხოლოდ ამაში?!

# პირველი გაჩერება - ერაყი

*აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ ერაყში ჩავიდა. თეთრი სახლის წარმომადგენელი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობას 15 დეკემბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობაზე ესაუბრა და სუნიტ ამომრჩეველს არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა. დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერას არ აპირებს. ერაყის შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენელი ბაჰრეინის, საუდის არაბეთის, ისრაელისა და პალესტინის მონახულებას გეგმავს.*

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ერაყში, კერძოდ, ქალაქ მოსულში ჩავიდა. ტრადიციულად, რაისის ვიზიტის შესახებ, უსაფრთხოების მიზნით, წინასწარ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ამ ქვეყნის სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ მხარეებს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარების მნიშვნელობაზე ისაუბრა. კონდოლიზა რაისის თქმით, აღნიშნული საკითხის გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერაყში 15 დეკემბრისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებისთვის.

გუშინ თეთრი სახლის წარმომადგენლმა სუნიტებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა (შეგახსენებთ, რომ ერაყში 2005 წლის 30 იანვარს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს სუნიტთა პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა). **"აშშ რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერას არ აპირებს. ერაყელ და ამერიკელ ხალხს ბევრი საერთო აქვს და ერაყის წარუმატებლობა ჩვენი საერთო მარცხი იქნება. დამაიმედებელია, რომ სულ უფრო მეტი ერაყელი მომავალს არა ძალადობაში, არამედ პოლიტიკაში ხედავს,"** - აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.



*სახელმწიფო მდივანი ერაყში წელს უკვე მეორედ ჩადის.*

ერაყში ჩასვლით კონდოლიზა რაისმა ახლო აღმოსავლეთში თავისი ტურნე დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ის ერაყის შემდეგ ბაჰრეინის, საუდის არაბეთის, ისრაელისა და პალესტინის მონახულებას აპირებს.

ახლოაღმოსავლური ტურნეს ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისრაელ-პალესტინის შემდგომი მშვიდობიანი ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებებია. კონდოლიზა რაისს კონკრეტული წინადადებები აქვს შემუშავებული რეგიონში დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმათა წარმატებით განხორციელების მიზნით. როგორც ვარაუდობენ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ამ ახალ ინიციატივებს მხარეებს მიმდინარე ვიზიტისას გააცნობს.

თეთრი სახლის წარმომადგენელი ბაჰრეინში სპეციალური ფონდის გახსნის შესახებ განცხადებას გააკეთებს. ორგანიზაციის, რომლის ბიუჯეტიც 50 მილიონი აშშ დოლარია, მოვალეობა რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დახმარების აღმოჩენა იქნება. ამის გარდა, ოფიციალური ვაშინგტონი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებისათვის დამატებით 35 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას გეგმავს. სავარაუდოდ, თავისი ტურნეს ფარგლებში კონდოლიზა რაისი იორდანიაში ოთხშაბათს მომხდარი ტერაქტის შემდეგ, ქვეყნის დედაქალაქ ამანსაც მოინახულებს.

აღმოსავლური ტურნეს დასრულების შემდეგ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯორჯ ბუშთან ერთად იაპონიას, სამხრეთ კორეას, ჩინეთს და მონღოლეთს ეწვევა.

## მოკლედ

### ყაზახეთი-ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა

ყაზახეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანა უახლოეს მომავალში ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმას მოაწერს ხელს. **"ნატო-ს ექსპერტებმა ჩვენი სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენლებთან და ქვეყნის სხვა უწყებების მესვეურებთან უკვე განიხილეს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა. მოლაპარაკებების შემდეგ შეთანხმდა დოკუმენტის მომზადებისა და ხელმოწერის ვადებიც,"** - აცხადებენ ყაზახეთის თავდაცვის უწყებაში. გეგმა მოიცავს ცენტრალური აზიის სახელმწიფოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობის ფართო სპექტრსა და საერთაშორისო დონეზე უსაფრთხოების საკითხების დეტალურ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ყაზახეთის შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის, ტერორიზმთან ბრძოლის, ნარკოტიკების ტრანზიტის, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში რეაგირების, მეცნიერებისა და ეკოლოგიის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებს ექცევა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ექსპერტთა ორდღიანი სამუშაო ვიზიტი ასტანაში გუშინ დასრულდა. **რიანოვოსტი**

### ავიაკატასტროფა ერაყში

მორიგი ავიაკატასტროფა ამჯერად ქაბულის მახლობლად მოხდა, სადაც სატრანსპორტო თვითმფრინავი ჩამოვარდა. ფრანგული გაზეთის "მონდ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კატასტროფის შედეგად თვითმფრინავის ბორტზე მყოფი ათივე ადამიანი დაიღუპა. ბრიტანული სააგენტო "როიტერ"-ის მონაცემებით, სატრანსპორტო თვითმფრინავი აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ბაგრამის ბაზის მახლობლად, შომალის დაბლობზე ჩამოვარდა. ჯერჯერობით დაუზუსტებელია ავიაკატასტროფის დეტალები. ექსპერტები შავი ყუთის ძიებას განაგრძობენ. **ინტერპრესნიუსი**

# ცივილიზაციათა შეჯახება?

პირველი გვერდიდან

ძალადობის ტალღა საფრანგეთში ნელ-ნელა მცირდება, თუმცა, სტაბილურობის დამყარებამდე, როგორც ჩანს, ძალიან შორია.

გაოცებას იწვევს საფრანგეთის ხელისუფლების დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი. შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლა სარკოზი შეუვალი ტონით აცხადებს, რომ "ქუჩები ნაგვისგან უნდა გაწმინდოს", თუმცა, მისი "სიხისტე" განცხადებებს არ სცილდება; პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ იღებს, რის გამოც არეულობების დაწყებიდან მხოლოდ მეცამეტე ღამეს ამოქმედდა საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი; ხოლო თავად ჟაკ შირაკი მხოლოდ ორჯერ აკეთებს კომენტარს, უდავოდ უსერიოზულეს პრობლემაზე და ისიც იმისთვის, რომ აღიაროს "ქალაქების ღარიბი კვარტლების პრობლემის" არსებობა. უფრო ბუნდოვნად ჟღერს მისი მოწოდება, რომ ქვეყანამ სწრაფად და ეფექტიანად უნდა გადაჭრას იგი.

ამასობაში, საფრანგეთის ქალაქებში დაწყებული ქაოსიდან მეთხუთმეტე ღამეს, მართალია, კვლავაც მოჩანს ცეცხლის ალი, მაგრამ, ამავდროულად, დაპატიმრებულთა რიცხვიც მატულობს.

საფრანგეთის მინიმუმ 30 ქალაქში, მათ შორის რუანში, ჰავრში, ლილში, ნიცასა და მარსელში კომენდანტის საათი მოქმედებს. თექვსმეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ეკრძალებათ საღამოს 22.00-დან დილის 06.00-მდე ქუჩაში გამოჩენა. ასევე აკრძალულია ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებებით ვაჭრობა (პარიზში პოლიციის უფროსის განაკარგულებით აკრძალულია ბენზინის მცირე მოცულობის ჭურჭლით გაყიდვაც.).

მიახლოებითი გათვლებით, ფრანგულმა სადაზღვევო კომპანიებმა უკვე 200 მლნ ევროთი იზარალეს. საფრანგეთის სადაზღვევო კომპანიების ფედერაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ამ თანხის ათი პროცენტი ხულიგნების მიერ დამწვარი ავტომობილების მფლობელთა კომპენსაციისთვისაა საჭირო. ეს, რაც შეხება რეალურად გადასახდელ თანხას. შესაძლოა, გაცილებით მეტი ზარალი მიადგეს ქვეყანას სხვა არამატერიალური თვალსაზირისითაც - მკვეთრად ეცემა საინვესტიციო მიმზიდველობა, იმიჯი. ბუნებრივია, არასტაბილურ გარემოში კაპიტალი არცთუ მოხერხებულად გრძნობს თავს.

## "არაფრანგი" ფრანგები

არეულობები 27 ოქტომბერს პარიზის ძირითადად აფრიკული წარმოშობის მოქალაქეებით დასახლებულ გარეუბანში დაიწყო. ორი შავკანიანი მოზარდის დაღუპვა საფრანგეთისთვის დღემდე უპრეცედენტო ძალადობის ტალღის საბაბი გახდა.

რაც არ უნდა ბუნდოვანი განცხადებები კეთდებოდეს პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებიც არეულობების ინიციატორებად "უწესო მოზარდების" წარმოჩენას ცდილობენ, აშკარაა, იმიგრანტების ასეთ მასობრივ დაპირისპირებას სახელმწიფოსთან ობიექტური მიზეზიც ჰქონდა.

დღეისთვის საფრანგეთში მოსახლეობის მეათედზე მეტს აფრიკული წარმოშობის იმიგრანტები შეადგენენ. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან სხვადასხვა მასშტაბის ნაკადებად შემოსული იმიგრანტთა ტალღა ძირითადად დიდი ქალაქების უბადრუკ გარეუბნებში იყო თავმოყრილი. 60-70-იან, თუნდაც 80-იან წლებში სახელმწიფოს სჭირდებოდა ეს იაფი მუშახელი, მით უმეტეს, რომ მემარცხენედ განწყობილ ფრანგ დაბალ ფენებთან შედარებით აფრიკელები ნაკლებად პრეტენზიულები იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის საფრანგეთის ინდუსტრიული აღმავლობა, გარკვეულწილად, სწორედ იაფი აფრიკული მუშახელის დამსახურება იყო.

მეოცე საუკუნის მიწურულს დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესმა, ისევე როგორც ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ეკონომიკაში "ცოცხალი ხელების" შემცირების განუხრელმა ტენდენციამ, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი გახადა მოსახლეობის ეს ფენა. მათ არც განათლება, არც კვალიფიკაცია (თუნდაც ენების ცოდნა) არ აღმოაჩნდათ საკმარისი, რათა "ღირსეული" სამუშაო ეშოვნათ. აქედან გამომდინარე, იმიგრანტთა შთამომავლების მთელი თაობა ძირითადად კრიმინალებად გადაიქცა. "გეტოების" მცხოვრებთა ერთადერთი საქმიანობა ნარკოტიკებით ვაჭრობა, პროსტიტუცია და სხვა კრიმინალური "მოღვაწეობა" გახდა.

## რატომ იწვის საფრანგეთი?

ფაქტობრივად, ფრანგების ამბიციამ, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული, სხვადასხვა კულტურულ და რელიგიურ გარემოში გაზრდილი ყველა იმიგრანტი ნამდვილ "ფრანგ მოქალაქედ" გადაექცია, სრული კრახი განიცადა.

სხვათა შორის, დღევანდელი მეამბოხეების - 10-25 წლის ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთში დაიბადა, ანუ საფრანგეთის მოქალაქეა. მათ მიერ არჩეული სამიზნეები, სკოლები, პოლიცია, საბავშვო ბაღები, კოლეჯები, მაღაზიები, ძვირფასი მანქანები, ნათლად მოწმობს, რომ ისინი თავად ფრანგული საზოგადოების სიმბოლოს ებრძვიან. ისინი აუჯანყდნენ საზოგადოებას, რომელსაც უსამართლოდ და მათ მიმართ დისკრიმინაციულად მიიჩნევენ. უპერსპექტივობა, ღირსეული მომავლის არქონა, აი ის მიზეზები, რის გამოც ფრანგულ გარემოში ეს მოზარდები განკვეთილებად გრძნობენ თავს. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ფრანგულ მიწაზე დაბადებული იმიგრანტების შვილები, საკუთარ მშობლებზე ნაკლებად ინტეგრირებულნი აღმოჩნდნენ ფრანგულ სახელმწიფოში.

"ცივილიზაციათა შეჯახება" - არეულობების დაწყებისთანავე ზოგიერთი მიმომხილველი სემეულ ჰანტიგტონის სწორედ ამ ცნობილ პროგნოზზე ალაპარაკდა. არის თუ არა დღეს ევროპის ცენტრი დაპირისპირებულ ცივილიზაციათა კონკურენციის არენა? ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ ამბოხებული ბავშვები სოციალური უფლებებისთვის იბრძვიან და მათ ჯერჯერობით(!) იდეოლოგია არ უმაგრებთ ზურგს.

დღეს, რასაც საფრანგეთში თვალს ვადევნებთ, შესაძლოა, აგერ უკვე 30 წლის მანძილზე მზარდი სოციალური კრიზისის გამოვლინება იყოს მხოლოდ. თუმცა, თუ ეს კრიზისი დანარჩენ ევროპასაც მოედო, მას უკვე ვეღარ დავარქმევთ მხოლოდ საფრანგეთის ხელისუფლების პოლიტიკის შეცდომებს და უუნარობას.

ამასობაში, იმიგრანტთა ჯანყი საფრანგეთის ფარგლებს სცდება. ავტომანქანების დაწვის ფაქტებს უკვე ჰქონდა ადგილი გერმანიასა და ბელგიაში. გუშინ ინციდენტი მოხდა საბერძნეთშიც - სალონიკში რამდენიმე ათეულმა აგრესიულმა ახალგაზრდამ ქვები დაუშინა საფრანგეთის ინსტიტუტს. ხულიგნები საფრანგეთის ამბოხებული მუსლიმების მხარდამჭერ ლოზუნგებსაც იძახდნენ.

აშკარაა, დღევანდელი ევროპა დენთის კასრს ჰგავს. როდის აფეთქდება ბელგია, ნიდერლანდები და იმიგრანტებით სავსე სხვა ქვეყნები, უცნობი რჩება. გუშინ ფრანგული "პარიზიენი" წერდა: "ეს სამი დღე ნამდვილი გამოცდა იქნება მთავრობისა და პოლიციისთვის".

**"საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ძლიერი საპასუხო ზომები, უდავოდ, სერიოზული პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა წინაშე ღარიბი გარეუბნების უამრავი მცხოვრები დგას,"** - განაცხადა გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. ბუნებრივია, ამ ზომებში მხოლოდ პოლიციური ღონისძიებების გამკაცრება არ იგულისხმება. შირაკისთვისაც ნათელია, რომ სოციალური კრიზისის დასაძლევად სოციალური პოლიტიკის შეცვლაა საჭირო. ალბათ, ამიტომ მოამზადა ფინანსთა მინისტრმა სპეციალური წინადადებები ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. "ჩვენ 20 წლის მანძილზე ძალიან დიდი თანხა ჩავდეთ გარეუბნების განვითარებაში, - ამბობს ტიერი ბრეტონი, - თუმცა, რასაკვირველია ეს არ არის საკმარისი".

დაბოლოს, ალბათ, ხანძრები საფრანგეთის ქალაქებში გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩაქრება, მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, სამუშაო ადგილებიც შეიქმნება და სოციალური დახმარების პროგრამებიც უკეთესად იმუშავებს, მაგრამ ერთხელ უკვე ამოხეთქილი სიძულვილის ტალღა აუცილებლად დაასვამს დაღს ფრანგულ საზოგადოებას.

საეჭვოა, ფრანგული სახელმწიფო (ისევე როგორც ინტეგრაციის პოლიტიკა საერთოდ ევროპაში) არ შეიცვალოს. ევროპა უნდა გარდაიქმნას, თუმცა, როგორი იქნება იგი 10 ან 20 წლის შემდეგ, შეძლებს თუ არა გადააქციოს განსხვავებული ცივილიზაციის წარმომადგენლები ევროპელებად - ძნელი სათქმელია... ვინ იცის, იქნებ ცივილიზაციათა შეჯახება ევროპაში დღეს იწყება?

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის შენობაში განთავსებული სასადილოს და ბუფეტების მეშვეობით საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების კვებით მომსახურეობაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ სასადილოს და ბუფეტების ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და წინადადება (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 29 ნოემბერს 12[00]-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 29 ნოემბერს 12[00]-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება აღნიშნული ობიექტების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

კონკურსში გამარჯვებულმა მომსახურების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულის გამოვლენიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09, ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის ატრიბუტიკის (პარლამენტის დროშა, პარლამენტის წევრის სამკერდე ნიშანი და პარლამენტის ლოგო) შექმნაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და წინადადება (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 28 ნოემბრის 12[00]-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 28 ნოემბერს 12[00]-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულ(ებ)ს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულება ნამუშევრების შესყიდვაზე გაფორმდება 10 დღის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულ(ებ)ისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09, ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

# „ჯეოსელის" საჩუქარი „კათარზისს"

*ასობით მოხუცს "ჯეოსელის" სახით კიდევ ერთი მფარველი გამოუჩნდა. ცოტა ხნის წინ კომპანიამ აუქციონზე გამოიტანა განსხვავებული ნომერი - 855 55 55 55, რომელშიც მყიდველმა სოლიდური თანხა 41 ათასი ლარი გადაიხადა. "ჯეოსელის" გენერალური მენეჯერის ოსმან თურანის გადაწყვეტილებით, ეს თანხა მთლიანად სათნოების სახლს "კათარზისს" გადაეცემა.*



ყველაფერი კი ასე დაიწყო: იმის გამო, რომ "ჯეოსელის" აბონენტთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, კომპანიამ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან ლიცენზია ახალ ინდექსზე 855-ზე ცოტა ხნის წინ მიიღო. ამ ინდექსით დაწყებული ნომრების შეძენა კი "ჯეოსელის" სარეალიზაციო ქსელში 8 ნოემბრიდან არის შესაძლებელი. როგორც კომპანიის გენერალური მენეჯერი ირწმუნება, 855-ის აბონენტებს ბევრი სიურპრიზი ელით.

მოკლედ, ასეა თუ ისე, კომპანია "ჯეოსელი" ახალ საქმეს იწყებს. და როგორც კომპანიაში ამბობენ, ყოველი ახალი საქმე სიკეთით უნდა იწყებოდეს. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ 855-ის "ასპარეზზე" გამოსვლა იმ აუქციონს ემთხვევა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. 8 ნოემბრიდან მოყოლებული, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში "ჯეოსელის" ცხელ ხაზზე რეკავდნენ ის ადამიანები, ვისაც ეს პრესტიჟული ნომერი (855 55 55 55) და უმწეო მოხუცების დახმარება უნდოდა. ნომრის მფლობელი კი მხოლოდ ერთი გახდა - აუქციონის პრინციპიდან გამომდინარე, ის, ვინც ყველაზე მეტი 41 ათასი ლარი გადაიხადა.

**"ჯერ კიდევ ოთხშაბათს ნომრის ფასი 20 ათას ლარამდე იყო. თუმცა მეორე დღეს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და მოულოდნელი ზარის შემდეგ თანხა 41 ათას ლარამდე გაიზარდა",** - განაცხადა ოსმან თურანმა.

გუშინ "კათარზისში" გამართულ პრესკონფერენციაზე მყიდველის ვინაობა ჟურნალისტებისთვის ნაწილობრივ გახდა ცნობილი. ის საქართველოში მოღვაწე მცირე მეწარმეა, რომელმაც საკუთარი სახელის და გვარის დასახელება არ ისურვა.

აუქციონიდან შემოსული 41 ათასის გარდა, "ჯეოსელის" გენერალური მენეჯერის გადაწყვეტილებით, ერთი წლის განმავლობაში 855 55 55 55-ის აბონენტის მიერ კომპანიის მომსახურებისთვის გადახდილი ყოველი თეთრი "კათარზისს" გადაეცემა.

აი, რა განაცხადა "კათარზისის" ხელმძღვანელმა ზაურ ალადაშვილმა, როცა ეს ამბავი შეიტყო: **"ჩემი ახლანდელი მდგომარეობა ძალიან ჰგავს იმ რეჟისორისას, რომელმაც ეს წუთია შეიტყო, რომ მას "ოსკარი" გადაეცემა. დიდი მადლობა "ჯეოსელს" და იმ ადამიანს, ვინც ეს ნომერი შეიძინა".**

მისივე ინფორმაციით "კათარზისის" 15 წლიანი არსებობის მანძილზე ასეთი მასშტაბის ქველმოქმედება ამ ორგანიზაციას არ ახსოვს. ზაურ ალადაშვილის თქმით, უახლოეს მომავალში მოწვეული იქნება "კათარზისის" პრეზიდიუმი, რომელიც გადაწყვეტს, თუ რისთვის და როგორ დაიხარჯოს "ჯეოსელის" ეს საჩუქარი.


თიბისი TBC ბანკი bank



ავტომატური კომუნალური გადარიცხვები

გსურთ დაზოგოთ დრო, ნარევები და ფული? დაივიწყოთ რიგები გადახდის პუნქტებში, ჩაჭრილი დენი, გადაუხდელი ქვითრები...

რას წარმოადგენს "ავტომატური კომუნალური გადარიცხვები"?

"ავტომატური კომუნალური გადარიცხვები" არის მომხმარებლის დავალება ბანკისადმი გადაიხადოს მისი ანგარიშიდან კომუნალური და სხვა დანიშნულების გადასახადები. ანუ მომხმარებელი აღარ ფიქრობს, თუ როდის და რამდენი აქვს გადასახდელი დენის, გაზის, ტელეფონის და სხვა დავალიანებების დასაფარად. მას აღარ უწევს ყოველთვიურად ზრუნვა დავალიანებების გასტუმრებაზე. მის ნაცვლად ამ საქმეს ასრულებს ბანკი, რომელიც ავტომატურად გადარიცხავს საჭირო თანხას მომხმარებლის ანგარიშიდან კომუნალური კომპანიის ანგარიშზე.

რომელ კომპანიებთან შესაძლებელი ავტომატური გადარიცხვების განხორციელება?

ავტომატური კომუნალური გადარიცხვების საშუალებით მომხმარებელს საშუალება ეძლევა უკვე დღეს სრულად მოიხსნას
- თელასის;
- თბილგაზის;
- თბილწყალკანალის;
- აიეტი TV-ის;
- ჯორჯია ონლაინის;
- სანეტის;
- კავკასუს ნეთვორქის;
- ჯიმაია ჰოლდინგის;

ყოველთვიური თანხის გადახდის პრობლემა.

+ ავტომატური პერიოდული საბანკო გადარიცხვა ფიქსირებულ თანხაზე ნებისმიერი მიმართულებით.

გადარიცხვები ბანკის მიერ ყოველთვის დროულად შესრულდება. მთავარია უზრუნველყოთ თქვენს საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობა!

სერვისზე რეგისტრაცია არის უფასო. მომსახურების გადასახადი კი შეადგენს კვარტალში 5 ლარს.

თითოეული გადარიცხვის განხორციელებისთანავე, ბანკი SMS-ით გამოგიგზავნით შესაბამის ინფორმაციას თქვენს მიერ განაცხადში მითითებულ მობილურის ტელეფონზე.



www.tbcbank.com

☎ 27 27 27

ჰოკეი

# NHL-ის ამბები



**გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს:**
**"კაროლინა ჰურიქეინსი" 5:3 "ბუფალო სეიბერსი"**
**"ნიუ იორკ რანჯერსი" 4:3 (ბულიტებით) "ფლორიდა პანთერსი"**
**"სენტ ლუის ბლუსი" 1:3 "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსი"**

მამუკა ხოშტარია

დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ, რომელიც ლოკაუტით იყო გამოწვეული, ჩვენმა გაზეთმა გააგრძელა ნაციონალური ჰოკეის ლიგის რეგულარული ჩემპიონატის გაშუქება.

ხუთშაბათს NHL-ში ხუთი მატჩი გაიმართა. "ატლანტა თრეშერსმა" მშობლიურ "ფილიფს არენაზე" მარიო ლემიეს "პიტსბურგ პინგვინზი" მიიღო. პირველ პერიოდში მაყურებელმა გოლი ვერ იხილა, თუმცა, ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შესაძლებლობები ორივე გუნდს ჰქონდა. შესვენების მერე "ატლანტა" საგრძნობლად გააქტიურდა, რაც უცებ აისახა ანგარიშზე. ხოსამ მშვიდად გაგზავნა შაიბა სებასტიან კარონის მხარს ზემოთ: 1:0. მასპინძლებმა არც ამის შემდეგ უკლეს ტემპს და პერიოდის დასრულებამდე კიდევ ორჯერ დაამწუხრეს "პინგვინები". ჯერ მარკ სავარმა წარმატებით ითამაშა დამატებაზე, ხოლო შემდეგ ვიაჩესლავ კოზლოვმა ისარგებლა თავისი თანამემამულის ილია კოვალჩუკის გადაცემით და თავის აქტივში სეზონში მეოთხე შაიბა ჩაიწერა. დასკვნით პერიოდში "ატლანტამ" შეტევებს უკლო, მაგრამ ამან სტუმრები ვერ იხსნა სრული განადგურებისგან. საბოლოო შედეგი ტაბლოზე პეტრ ბონდრამ დააფიქსირა: 5:0. ამ მოგებით "ატლანტამ" შეწყვიტა ორმატჩიანი წარუმატებელი სერია.

სათამაშო დღის სხვა მატჩებიდან გამოირჩევა "დეტროიტის" გამარჯვება "ლოს ანჯელესთან" - 5:4. გადამწყვეტი გამოდგა ოვერტაიმში რობერტ ლენგის მიერ გატანილი შაიბა.

მოკლედ

## მასპინძლობის მსურველნი შემცირდნენ

უეფამ შეამცირა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა რიცხვი. უეფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით ამ სიაში საბერძნეთი და თურქეთი აღმოჩნდნენ. ამრიგად ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის პრეტენზიას აცხადებენ: იტალია, ხორვატია და უნგრეთი, აგრეთვე პოლონეთი და უკრაინა. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება 2006 წლის დეკემბერში მიიღება.

## შუმახერის ტრავმა იოლია

მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონმა ფორმულა 1-ში "ფერარის" გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა ფეხბურთის თამაშის დროს ტრავმა მიიღო. გერმანელმა ტერფი შვეიცარიაში დაიზიანა, როცა ამ ქვეყნის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის კლუბ "ეხიხენსის" ღირსებას იცავდა. შუმახერი პირდაპირ მინდორზე შეამოწმა ექიმთა ადგილობრივმა ბრიგადამ. ექიმებმა დაასკვნეს, რომ სანერვიულო დიდი არაფერია და უბრალო, ცივი კომპრესი შუმახერს აღდგენაში დაეხმარება.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სამტრედიის რაიონის, სოფელ გამოჩინებულის გზის და ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ გამოჩინებულის სათემო კავშირთან "ზანდო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ზანდო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელ გამოჩინებულის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი ილია კუტალაძე, სათემო კავშირი "ზანდო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 16 ნოემბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელ გამოჩინებულის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი ილია კუტალაძე, სათემო კავშირი "ზანდო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 14 დეკემბრის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ფეხბურთი

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების საფეხბურთო კლუბებს

საპროგრამო განცხადება

**ძვირფასო მეგობრებო!**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2004/2005წწ. სეზონიდან დანერგა საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების სისტემა.

უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტორული ფირმა "შGშ"-ის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემამ მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების უფლებას ანიჭებს.

2004/2005წწ. სეზონში საკლუბო ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა მიიღო 14 კლუბმა. მათ შორის უმაღლესი ლიგის ათივე და პირველი ლიგის ოთხმა გუნდმა.

უეფას 2005/2006წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიიღო 9 კლუბმა:

1. ს.კ. "დინამო თბილისი"
2. ს.კ. ქუთაისის "ტორპედო"
3. ს.კ. თბილისის "თბილისი"
4. ს.კ. თბილისის "ლოკომოტივი"
5. ს.კ. ზესტაფონის "ზესტაფონი"
6. ს.კ. თბილისის "ვიტ ჯორჯია"
7. ს.კ. ბორჯომის "ბორჯომი"
8. თბილისის "ფკ ამერი"
9. ს.კ. თბილისის "სპარტაკი"

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიაზე უარი ეთქვა ს.კ. ბოლნისის "სიონს", ხოლო ს.კ. ბათუმის "დინამოს", ს.კ. ფოთის "კოლხეთი 1913"-ს, ს.კ. გორის "დილას" და ს.კ. თბილისის "მერანს" არ მიეცათ ლიცენზია ლიცენზირების პროცესის სრული იგნორირების გამო.

ლიცენზირების სისტემის სრულყოფისას, სფფ-ს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. ფეხბურთის განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და ევროპის მასშტაბით.
2. ახალგაზრდების მოსამზადებლად ხელშემწყობი პირობების მაქსიმალური უზრუნველყოფა.
3. კლუბების საფინანსო-ეკონომიკური მოღვაწეობის გაძლიერება.
4. კლუბების სტადიონების მოდერნიზაცია ფიფა-უეფას მოთხოვნების, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
5. სწრაფი ინტეგრაცია ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში.

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემა პასუხობს ევროტურნირებში მონაწილე ყველა კლუბის მიმართ უეფას მიერ დადგენილი საერთო სტანდარტებისა და ნორმატივების თანმიმდევრულად გამოყენების მინიმალურ მოთხოვნებს. კლუბების შეფასების კრიტერიუმები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. ინფრასტრუქტურული
2. სპორტული
3. საკადრო-ადმინისტრაციული
4. სამართლებრივი
5. ფინანსური

საფეხბურთო კლუბებს გაეგზავნებათ ლიცენზირების პაკეტი კრიტერიუმთა აღწერითა და ნიმუშებით, რომელთა შესრულებაც მათ მისცემს უეფას 2006/2007წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის უფლებას. ამასთან, სფფ-ს სპეციალისტების მხრიდან მათ მუდმივად გაეწევათ პრაქტიკული დახმარება ამ კრიტერიუმების შესასრულებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტაციის დროულად მიწოდება კლუბებისთვის და კლუბების განაცხადების ეფექტური და ობიექტური განხილვის უზრუნველყოფა.

საკლუბო ლიცენზირების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, სფფ მიზნად ისახავს 2005/2006წწ. სეზონში უზრუნველყოს:

- საკლუბო ლიცენზირების პროცესში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ყველა (16) კლუბისა და პირველი ლიგის პერსპექტიული 3 კლუბის მონაწილეობა;
- უეფას ახალი მოთხოვნებისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2008/09წწ. სეზონისთვის სფფ-ს საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ეროვნული სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შემუშავება, რომლის მოთხოვნების შესრულებაც სავალდებულო გახდება კლუბებისთვის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, სახელმძღვანელოს დამტკიცება სფფ-ს აღმასკომზე და აკრედიტირება უეფაში (2006წ. 31 მარტი).
- სწავლება ლიცენზირების პროცესის მონაწილეთათვის:

ა) სასწავლო-საგანმანათლებლო კურსები საკლუბო ლიცენზირების სისტემის ახალი თანამშრომლებისთვის და საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ იმ პირთათვის, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა 2004/2005წწ. ლიცენზირების სეზონში;

ბ) სემინარი სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემის ექსტრანეტის მოხმარების შესასწავლად;

გ) საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მონაწილეობა სფფ-ს მიერ ფეხბურთის წესებისა და ფეარპლეის პრინციპების შესახებ ორგანიზებულ სემინარებზე;

დ) აუდიტორული შემოწმებების ღირებულების გადახდაში წილობრივ მონაწილეობას;

- საფეხბურთო კლუბებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერების შეძენა და მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემა იმასთან დაკავშირებით, რომ 2005/2006წწ. სეზონიდან ფუნქციონირებას იწყებს სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემის ექსტრანეტი და იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ კლუბში არ არის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა;
- არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება, პერსპექტიული სტადიონების გამოვლენა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება სფფ-სა და საქართველოს პფლ-ის წარმომადგენლებთან ერთად.

ამას გარდა, სფფ კისრულობს, შეასრულოს უეფას მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ეროვნულ ნორმატივში და გაიაროს აღნიშნულ ნორმატივთან საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების შესაბამისობის ყოველწლიური ატესტაცია, რომელიც ტარდება უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო სასერტიფიკაციო ორგანიზაციის მიერ.

სფფ ოპერატიული თათბირებისა და სამსახურებრივი წერილების საშუალებით მუდმივად ჩაგაყენებთ იმ საქმეთა კურსში, რომლებიც ეხება პროგრამის განხორციელებას. დასახული მიზნების რეალიზაციაში თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს და გამოვთქვამ მზადყოფნას, განვიხილო ნებისმიერი თქვენი წინადადება ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

**პატივისცემით,**
**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**
**ნოდარ ახალკაცი**
**პრეზიდენტი**
**თარიღი:**
**10.11.2005**

კალათბურთი

# "კლივლენდის" სელექციონერი თბილისში

მამუკა ხოშტარია

ქართული კალათბურთის მიმართ სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ NBA-ს სელექციონერები. ამის დასტურად საქართველოს ორი დღით ეწვია "კლივლენდ კავალიერსის" სელექციონერი ბატონი **ვირგილიუს ბულოტასი**. ჩამოსვლის მიზეზის დასადგენად შევხვდით და ვესაუბრეთ მას.





NBA-ს სელექციონერი ქართველი კალათბურთელებით დაინტერესდა.

**- ბატონო ვირგილიუს, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ჩვენს ქვეყანაში.**

- გმადლობთ, მაგრამ მე უკვე მესამედ ვარ საქართველოში.

**- ცვლილებებს თუ ამჩნევთ?**

- ცვლილებები თვალშისაცემია. წელიწადნახევრის წინ, როცა საქართველოში პირველად ჩამოვედი, გამიკვირდა, რომ NBA-ში სამი კალათბურთელი გყავდათ. მატერიალური თვალსაზრისით თქვენი კალათბურთი იმდენად ცუდ დღეში იყო, რომ მხოლოდ მწვრთნელებისა და მოთამაშეების ფანატიზმის ხაჯზე გადიოდით ფონს... ახლა სიტუაცია შეცვლილია. ვიცი, რომ უკვე ცდილობენ მოთამაშეების შენარჩუნებას და მათ მატერიალურ უზრუნველყოფას. ეს თავისთავად პოზიტიური მოვლენაა. თქვენ კარგი ტრადიცია გაქვთ და თუ თქვენი კალათბურთი სწორი მიმართულებით განვითარდა, აუცილებლად მოყვება შედეგი.

**- რამ განაპირობა თქვენი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ?**

- თქვენი კალათბურთელების NBA-ში თამაშმა. ამასთან, მე "კლივლენდის" ხუთი სელექციონერიდან ერთ-ერთი ვარ და საქართველო, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები, დანიასთან, შვეიცარიასთან, ჩეხეთთან, სლოვაკეთთან, შვედეთთან ერთად ჩემ სამუშაო ზონაში შედის.

**- თუ საიდუმლო არ არის, გაგვაცანით თქვენი მუშაობის სპეციფიკა.**

- მაინტერესებს ძირითადად 1985-90 წლებში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ. საბედნიეროდ, ასეთი თქვენს ქვეყანაში მრავლადაა.

**- ვინმეს ხომ არ გამოყოფდით?**

- ათუაშვილს, მარკოიშვილს, შერმადინს, ჯგერენაიას და მეტრეველს. ჯგერენაიას და მეტრეველს უკვე დიდი ხანია ვიცნობ და ვაკვირდები. ძალიან კარგი ბიჭები არიან.

**- ზოგადად ჩვენს კალათბურთზე რა აზრის ხართ?**

- მიჭირს რაიმე გითხრათ, რადგან უმაღლესი ლიგის რამდენიმე მატჩი მაქვს ნანახი. კარგია, რომ გუნდები ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. მაგალითად, ლიტვაში, საიდანაც მე ვარ, ასე არ არის და ეს დიდი პრობლემაა.

**- თბილისის შემდეგ სად მიემგზავრებით?**

- დღეს მივდივარ ბაქოში და შემდეგ მოსკოვში. ეს ტურნე ათ დღეს გაგრძელდება.

**- დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო და დამთანხმდით ინტერვიუზე. გისურვებთ წარმატებას.**

- გმადლობთ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციისათვის დადგენილი ფორმით განაცხადების მიღებას. განაცხადების მიღება წარმოებს 2005 წლის 14-დან 28 ნოემბრის ჩათვლით.

აღნიშნული პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს 2006 წლიდან განესაზღვრებათ აკრედიტაციის სტატუსი და მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი 2006-2007 სასწავლო წლისათვის.

აკრედიტებულმა უმაღლესმა სასწავლებელებმა, რომელთაც დადგენილი კონტინგენტის შეცვლის სურვილი აქვთ, ხელახლა უნდა წარმოადგინონ აკრედიტაციაზე განაცხადი.

2005-2006 წლის ინსტიტუციური აკრედიტაციის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 11 ნოემბრის N618 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის წესის დებულება მისაღები კონტინგენტის გამოთვლის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის განსაზღვრის შესახებ".

აკრედიტაციაზე განაცხადს თან უნდა ერთვოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა თვითშეფასების კითხვარი და აკრედიტაციის საფასურის გადახდის ქვითარი. საკრედიტაციო მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საიდენტიფიკაციო კოდი 202051224

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის N000141408, ბანკის კოდი: 220101107, ორგანიზაციული კოდი 2211

დამატებითი ინფორმაცია: ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასური ან ინსტიტუციური აკრედიტაციის ზღვრული ოდენობის საფასური.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის სამმართველოს შემდეგ მისამართზე: თბილისი 0102, უზნაძის ქ. N52, ტელ: 959117, 957326. ვებ-გვერდი: www.mes.gov.ge ელექტრონული ფოსტა: n-chubinidze@mes.gov.ge, tinab@access.sanet.ge

**საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის წესის დებულების და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

“საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის, 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 20 ივლისის N418 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულების" I-ლი თავის და II თავის “ე" ქვეპუნქტის შესაბამისად

## ვბრძანებ:

1. ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება განხორციელდეს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ დანართი 1-ით გათვალისწინებულ მატერიალურ-ტექნიკურ, პროგრამულ და ადამიანური რესურსების პირობებს.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმების საფუძველია დანართით გათვალისწინებულ მატერიალურ-ტექნიკურ, პროგრამულ და ადამიანური რესურსების პირობებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეუსაბამობა, აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა მიღებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გადატანის წესის და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესი განისაზღვროს დანართი 2-ის შესაბამისად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია გულისხმობს აგრეთვე მისი ფილიალის/ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების შესაბამისობის დადგენას ამ ბრანებით განსაზღვრულ პირობებთან.
5. აკრედიტებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ამ დაწესებულების ფილიალის/ფილიალების მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა დგინდება ცალცალკე თითოეულის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების შესაბამისად.
6. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების პირობები არ შეესაბამება ამ ბრძანებით დადგენილ პირობებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ შეიძლება განესაზღვროს ამ ფილიალში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
7. იმ შემთხვევაში, თუ ფილიალის/ფილიალების გარეშე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსები არ შეესაბამება ამ ბრანებით დადგენილ პირობებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ითვლება არააკრედიტებულად მიუხედავად იმისა, მისი ფილიალის/ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსები შეესაბამება თუ არა ამ ბრძანებით დადგენილ პირობებს.
8. რეორგანიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ექვემდებარებიან ხელახალ აკრედიტაციას.
9. ხელახალი აკრედიტაციის გავლამდე რეორგანიზაციის მომდევნო სასწავლო წლისათვის გაერთიანების/შერწყმის გზით რეორგანიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა წარმოადგენს გაერთიანებამდე არსებული თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ჯამს.
10. იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთაც აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში სურთ მომდევნო სასწავლო წელს განახორციელონ აბიტურიენტთა მიღება, აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს ყოველი სასწავლო წლის აპრილის პირველი სამუშაო დღისა.
11. ამ ბრძანების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენის ვადას იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომელთაც სურთ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში 2006-2007 სასწავლო წლისათვის განახორციელონ აბიტურიენტთა მიღება, განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭო.
12. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 7 ივნისის ბრძანება N276 "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ("საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", 10.06.05 წ., N69, მუხ. 754).
13. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

*მინისტრი ალექსანდრე ლომაია*

**დანართი 1**

**საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის წესის დებულება**

### თავი I. მატერიალურ-ტექნიკური პირობები

**მუხლი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა და ფართი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა-ნაგებობების ფლობის/ /საკუთრების უფლების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაფორმებული დოკუმენტაცია.
2. შენობა-ნაგებობის ფართის ფლობის უფლება დაწესებულებას უნდა ჰქონდეს გაფორმებული საბუთის წარმოდგენის მომენტისათვის არანაკლებ 6 წლის ვადით.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთო ფართი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 1000 $მ^2$ -ს.
4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 1 სტუდენტზე უნდა გააჩნდეს არანაკლებ 4 $მ^2$ სააუდიტორიო და სალაბორატორიო ფართი.
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საგანმანათლებლო პროცესის წარმოებისათვის საჭირო ინვენტარი.

**მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთარი ბიბლიოთეკა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა არსებობდეს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეული;
ბ) ბიბლიოთეკაში უნდა არსებობდეს სამკითხველო ოთახი შესაბამისი ინვენტარით (თაროები, მაგიდები და სკამები);
გ) ბიბლიოთეკაში უნდა იყოს წიგნების, არსებობის შემთხვევაში ფირების, კასეტების და კომპაქტ-დისკების კატალოგები, რომლებიც ორგანიზებული იქნება საგნობრივი და სხვა საბიბლიოთეკო პრინციპებით;
დ) ბიბლიოთეკაში უნდა წარმოებდეს წიგნებისა და მკითხველების აღრიცხვა;
ე) ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ერთ სტუდენტზე არანაკლებ 10 სახელმძღვანელო სასწავლო გეგმის შესაბამისად;
ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკას უნდა გააჩნდეს წიგნადი ფონდი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმასა და სტუდენტთა რაოდენობას.
ზ) ბიბლიოთეკა უნდა მუშაობდეს კვირაში არანაკლებ 5 დღის განმავლობაში.

**მუხლი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კომპიუტერული სისტემა და ვებ-გვერდი**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს დაწესებულების საკუთრებაში არსებული კომპიუტერები, როგორც ადმინისტრაციული მიზნებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.
2. კომპიუტერები უნდა გადანაწილდეს შემდეგი რაოდენობით:
ა) თითოეულ ადმინისტრაციულ და სტრუქტურულ ერთეულს (ფაკულტეტს) უნდა გააჩნდეს 1 კომპიუტერი მაინც;
ბ) 15 სტუდენტისთვის უნდა განისაზღვროს არანაკლებ 1 კომპიუტერისა.
3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ინტრანეტი (შიდა ქსელი) და ინტერნეტი;
4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი ვებ გვერდი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
**ა) სახელმწიფო ენა** - საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ვებ-გვერდის ერთ-ერთი ენა აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო ენა.
**ბ) ვებ-გვერდის ფლობის ფორმა** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დომეინის ყიდვის ხელშეკრულება და "ჰოსტინგის" (ვებ სივრცის) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთარი “.edu და edu.ge" დომეინი.
**გ) ვებ-გვერდის სიზუსტე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი უნდა იყოს ზუსტი. ვებ გვერდზე განთავსებული უნდა იყოს მესაკუთრის კოორდინატები და მისი შექმნის თარიღი. ვებ-გვერდს შეიძლება ჰყავდეს ორი ავტორი: შინაარსის, ტექსტის ავტორი და დიზაინის ავტორი. შინაარსის ავტორი ამ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა და მითითებული უნდა იყოს მისი, როგორც ავტორის, საკონტაქტო მისამართი.
**დ) ვებ-გვერდის შექმნის მიზანი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდი უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ფუნქციას.
**ე) ვებ-გვერდის წაკითხვადობა** - ვებ გვერდი უნდა იყოს წაკითხვადი. საიტზე გამოყენებული უნდა იყოს ქართული უნიკოდი -"სილფაენი" (Sylfaen).
**ვ) დროულობა/განახლებადობა** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა ახორციელებდეს ვებ გვერდის სისტემატურ განახლებას, რაც გულისხმობს ვებ გვერდის შექმნისა და განახლების თარიღების მითითებას. საიტზე მოთავსებული ლინკები (სხვა ვებ გვერდები) უნდა ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად. ლინკებზე ასევე უნდა ხდებოდეს სისტემატური განახლება.

### თავი II. პროგრამული პირობები

**მუხლი 4. პროგრამული პირობების დადგენისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამული პირობები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალობები უნდა შეესაბამებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სპეციალობათა ჩამონათვალს. ამ მიზნით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს სპეციალობების ჩამონათვალი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
ბ) უმაღლესმა საგანმანთლებო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მასში შემავალი სამეცნიეროკვლევითი დაწესებულებების და აკადემიური ერთეულების შესახებ.
გ) უმაღლესი სასწავლებელი აკრედიტაციის ჩასატარებლად ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო გეგმები (სასწავლო პროგრამის აღწერა, მოდული, კურიკულუმი, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ECTS -ის შესაბამისად, სადაც სწავლების პირველ საფეხურზე გათვალისწინებული 240 კრედიტი გადანაწილებული იქნება 4 სასწავლო წელზე, საშუალოდ 60 კრედიტი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს სასწავლო გეგმები, საგნების ჩამონათვალი სათანადო კრედიტებისა და აკადემიური საათების მითითებით.
დ) უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევათა ჩამონათვალი, მოკლე აღწერა, გამოქვეყნების მითითებით. ამ კრიტერიუმით დაწესებულებამ უნდა დაასაბუთოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ერთიანობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ახლად დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ 3 წლის განმავლობაში.

### თავი III. ადამიანური რესურსების პირობები

**მუხლი 5. ადამიანური რესურსების პირობების შეფასების წესი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ინსტიტუციური აკრედიტაციის გასავლელად წარმოადგენს მონაცემებს ამ უმაღლეს სასწავლებელში დასაქმებული პერსონალის თაობაზე.
2. წარმოდგენილ მონაცემებს თან უნდა ერთვოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები/დანიშვნის ბრძანებები.
3. პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აკრედიტაციის მიზნებისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს ორზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალში.
4. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს პროფესორის წერილობითი თანხმობა, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალად უნდა იქნეს მიჩნეული.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამხმარე პერსონალი უნდა იყოს სტუდენტებისა და მასწავლებლების საერთო რაოდენობის ადეკვატური.

### თავი IV. მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული პირობების შეფასების წესი

**მუხლი 6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობისა და ფართის შეფასების წესი**

ამ დებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას და დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში შეფასება განისაზღვროს 2 ქულით, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - 0 ქულით.

**მუხლი 7. ბიბლიოთეკის შეფასების წესი**

1. ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ბიბლიოთეკის კრიტერიუმების ერთობლიობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას და შეფასება განისაზღვროს 1 ქულით;
2. ამ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ერთ-ერთი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობა ხდება ბიბლიოთეკის 0 ქულით შეფასების საფუძველი;
3. ბიბლიოთეკის შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვროს 1 -ით;

**მუხლი 8. კომპიუტერული პირობების და შეფასების წესი**

1. სუდენტებზე მოსული კომპიუტერების რაოდენობის შეფასება განისაზღვროს შემდეგი წესით:
ა) 15 სტუდენტზე მოსული ერთი კომპიუტერის შემთხვევაში შეფასება განისაზღვროს 1.5 ქულით.
ბ) 16-დან 30-მდე სტუდენტზე მოსული 1 კომპიუტერისთვის შეფასება განისაზღვროს 1 ქულით;
გ) 31-დან 45-მდე სტუდენტზე მოსული 1 კომპიუტერისთვის შეფასება განისაზღვროს 0.5 ქულით;
2. კომპიუტერული პირობების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 1.5 ქულით;

**მუხლი 9. ვებ-გვერდის შეფასების წესი**

1. სრულყოფილი ელექტრონული გვერდის არსებობა ფასდება 0.5 ქულით.
2. ელექტრონული გვერდი, რომელიც მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის “ბ", “გ" და “დ" ქვეპუნქტებს ვერ აკმაყოფილებს, შეფასდება 0 ქულით.
3. ვებ-გვერდის შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვროს 0.5 -ით

**მუხლი 10. პროგრამული პირობების შეფასების წესი**

1. ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პროგრამული ნორმატივების დადასტურების შემთხვევაში შეფასება განისაზღვრება შემდეგი წესით:
ა) მე-4 მუხლის “ა" და “ბ" ქვეპუნქტების პირობის შესრულებისას - 0.5 ქულა;
ბ) მე-4 მუხლის “გ" ქვეპუნქტის პირობის შესრულებისას - 1 ქულა.
გ) მე-4 მუხლის “დ" ქვეპუნქტის პირობის შესრულებისას - 0.5 ქულა.
2. პროგრამული ნორმატივების შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვროს 2-ით;

**მუხლი 11. ადამიანური რესურსების შეფასების წესი**

1. ადამიანური რესურსების შეფასება განისაზღვროს შემდეგი კრიტერიუმებით:
ა) იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც დასაქმებული აკადემიური პერსონალის 91%-დან 100%-მდე არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შეფასდეს 2 ქულით;
ბ) იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც დასაქმებული აკადემიური პერსონალის 70%-დან 90%-მდე არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შეფასდეს 1 ქულით;
გ) იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც დასაქმებული აკადემიური პერსონალის 5% მაინც არის დოქტორანტი, შეფასდეს 1 ქულით;
2. ადამიანური რესურსების შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვროს 3 ქულით.

**მუხლი 12. ქულათა მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა**

1. შეფასების უმაღლესი ქულა ყველა კრიტერიუმის სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში განისაზღვრება 10 ქულით.
2. აკრედიტაციის მისანიჭებლად გამსვლელი ქულა განისაზღვრება 6 -ით.

**მუხლი 13. გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამსახური განაცხადთან დაკავშირებით იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის შესახებ;
გ) აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ;
დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ;

*დანართი 2*

**ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესი**

**მუხლი 1. ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის გადახდის წესი**

1. ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურს იხდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად აკრედიტაციის გავლის განაცხადის შეტანისა და აკრედიტაციის კანდიდატად მისი დამტკიცების დროს.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამსახური განაცხადთან დაკავშირებით იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) განაცხადის მიღების შესახებ;
ბ) განაცხადის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;
3. განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს ენიჭება აკრედიტაციის კანდიდატის სტატუსი.
4. აკრედიტაციის კანდიდატად ცნობის შემდეგ განმცხადებელს ევალება გადაიხადოს აკრედიტაციის პროცედურის განსახორციელებლად შესაბამისი საფასური და იგი დაექვემდებარება დადგენილი წესით გადამოწმებას.
5. აკრედიტაციის საფასურის გადახდა წარმოებს განაცხადის შემოტანისას და აკრედიტაციის კანდიდატად ცნობის შემდეგ აკრედიტაციის პროცედურის დაწყებამდე.
6. აკრედიტაციის განაცხადის საფასური განმცხადებელს არ უბრუნდება.
7. აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ ხდება აკრედიტაციის პროცესისათვის გადახდილი საფასური დაბრუნდება.

**მუხლი 2. ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ნიხრები**

1. აკრედიტაციის განაცხადის შემოტანის დროს ყველა განმცხადებელი ვალდებულია, გადაიხადოს აკრედიტაციის განაცხადის საფასური 250 ლარის ოდენობით.
2. აკრედიტაციის კანდიდატად ცნობის შემთხვევაში დაწესებულება იხდის აკრედიტაციის საფასურის ზღვრულ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შემდეგი სამი პარამეტრით:
ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობით;
ბ) დაწესებულების მიერ დაკავებული საერთო ფართით;
გ) სხვადასხვა მისამართზე არსებული ფართებისა და შენობა-ნაგებობების რაოდენობით.
3. საფასურის საერთო რაოდენობა დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისი ჯამით.

**მუხლი 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა არსებული რაოდენობით აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განასაზღვრის წესი და ოდენობა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს აკრედიტაციის საფასური შემდეგი ოდენობით:
ა) 100-მდე სტუდენტის არსებობისას - 500 ლარი;
ბ) 101-დან 300-მდე სტუდენტის არსებობისას - 1000 ლარი;
გ) 301-დან 500-მდე სტუდენტის არსებობისას - 1300 ლარი;
დ) 501-დან 1000-მდე სტუდენტის არსებობისას - 2000 ლარი;
ე) 1001-დან 5000-მდე სტუდენტის არსებობისას - 3000 ლარი;
ვ) 5001დან 10000-მდე სტუდენტის არსებობისას - 5000 ლარი.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 10000-ზე მეტ ყოველ 1000 სტუდენტზე იხდის აკრედიტაციის საფასურს 500 ლარის დამატებით.

**მუხლი 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საერთო ფართის მიხედვით გადასახდელი აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი და ოდენობა**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ფართის მიხედვით გადაიხადოს აკრედიტაციის საფასური შემდეგი ოდენობით:
ა) 1000-დან 3000კვ.მ -მდე ფართობის დროს -500 ლარი;
ბ) 3001-დან 5000კვ.მ -მდე ფართობის დროს -1000 ლარი;
გ) 5001-დან 10000კვ.მ -მდე ფართობის დროს -1700 ლარი;
დ) 10001-დან 20000კვ.მ -მდე ფართობის დროს -2300 ლარი;
ე) 20001-დან 30000კვ.მ -მდე ფართობის დროს -2700 ლარი;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 30000 კვ.მ-ზე მეტ ყოველ 10000კვ.მ-ზე იხდის აკრედიტაციის საფასურს 200 ლარის დამატებით.

**მუხლი 5. უმაღლეს საგფანამანათლებლო დაწესებულებისათვის სხვადასხვა მისამართზე არსებული ფართებისა და შენობა-ნაგებობების მიხედვით აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი და ოდენობა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ყოველ ერთ მისამართზე არსებული 1 შენობა-ნაგებობისა ან შენობის ნაწილის ფლობის შემთხვევაში, გადაიხადოს აკრედიტაციის საფასური 150 ლარის ოდენობით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

# თეატრის კარი გაიღო

პირველი გვერდიდან

**გოკა გაბაშვილი**: ძალიან ბედნიერი ვარ, რომ რუსთაველის თეატრი, ხანგძლივი სარემონტო სამუშაოების შემდეგ, ასე ლამაზად იხსნება. ამის გამო, მეცენატს ძალიან დიდი მადლობა. იმედი მაქვს, რუსთაველის თეატრი იქნება ისეთი, როგორიც ყოველთვის. მას ჩემგან კომპლიმენტი არ სჭირდება.

**დავით დოიაშვილი**: მიხარია, რომ გაიხსნა თეატრი, ეს ის შემთხვევაა, როცა შიგნით რაც ხდება და მისი გარეგნული იერსახე ერთმანეთს ავსებს. ეს ძალიან კარგია, რომ თბილისში აღდგება კულტურული ცხოვრება.

როგორ ფიქრობთ, როგორ და რა მიმართულებით უნდა წარმართოს აკადემიურმა თეატრებმა პროცესები?

ის, თუ როგორი იქნება მათი რეპერტუარი ამაზე მე არც ვფიქრობ, ეს იმ ხალხის გადასაწყვეტია, ვინც დღეს აქ არის. მგონია, რომ რუსთაველის თეატრს არასდროს დაუკარგავს აქტუალობა და არც ეხლა დაკარგავს. რაც შეეხება მარჯანიშვილის თეატრს, მათ ვუსურვებ, რომ ბევრი კარგი რეჟისორი მიეწვიოთ.

**მურმან ჯინორია**: ვფიქრობ, რომ ძალიან საჭირო დროს მოხდა რუსთაველის თეატრის განახლება. ძალიან მოენატრა ხალხს აქაურობა. ის ატმოსფერო, რომელიც რუსთაველის თეატრში იყო ყოველთვის, ის სიტყვა, რომელიც ზემოქმედებდა მაყურებელზე და ერზე ყოველთვის. ეს აქვს ჩვენს თეატრს. სამი წელი გავს ავადმყოფობის პერიოდს, რომლის შემდეგაც, ენერგიულად უფრო მეტის თქმა გინდა და მეტიც შეგიძლია. ჩვენც ზუსტად ასეთი განწყობა გვაქვს. ვემზადებით ჩვენს მაყურებელთან შესახვედრად.

რუსთაველის თეატრი ყოველთვის დროზე ამბობდა სათქმელს, აქ პოვებდა გამოძახილს ყველა მნიშვნელოვანი პროცესი, ასე გაგრძელდება?

ასე უნდა გაგრძელდეს, ეს რუსთაველის თეატრის მისიაა.

როცა ოდნავ დაბნეული მაყურებელი დარბაზში შევიდა, სცენაზე რობერტ სტურუა გამოჩნდა. "არ მინდოდა სცენაზე გამოსვლა, მაგრამ მივხვდი რომ აქ დგომა ძალიან მომენატრა და მაინც გამოვედი. ეს ჩვენთვის დიდი დღესასწაულია. ვეცდებით, გავამართლოთ თქვენი იმედები და ღირსეულად ვატაროთ ის გრძნობა პატივისცემისა, რომელსაც ჩვენი მაყურებელი ჩვენდამი



თეატრალური სეზონი რობერტ სტურუამ გახსნა.

განიცდის," - დაიწყო რეჟისორმა და ის მსახიობებიც გაიხსენა ვინც განახლებული თეატრის ხილვას ველარ მოესწრო: გოგი გეგეჭკორი, ედიშერ მაღალაშვილი..."ის ადამიანები, ვინც განახლებულ სცენაზე ველარ დადგებიან. თეატრი ასეთია, აქ მიდიან და მოდიან, ასეთია ცხოვრება...ჩვენ კი ჩვენი წინაპრების მიერ დაწყებული საქმე უნდა გავაგრძელოთ. ეხლა სცენიდან გავალ და წარმოდგენაც დაიწყება," - გვითხრა ბატონმა რობერტმა და სპექტაკლიც დაიწყო. "კაცია-ადამიანი?!" - გია ყანჩელის მუსიკით, გოგი ალექსიძის მოძრაობით, მირიან შველიძის მხატვრობით. დაიწყო სპექტაკლი, რაღაც პათეტიკით, უცნაური განცდებით, ნერვიული შემართებით. ზოგიერთს სამი წლის წინანდელი დღეები მოაგონდა, როგორ უყურა ამ სპექტაკლს, როგორ შეაფასა გონებაში, ანდა, უბრალოდ, რამდენი დღე და საღამო გაატარა რუსთაველის თეატრის აივნებზე.

საპრემიერო წარმოდგენად "კაცია-ადამიანი" შეირჩა. მართალია, თეატრში მისული საზოგადოების ნახევარს ეს სპექტაკლი ნანახი არ ჰქონდა, მაგრამ 2000 წლის 1 ივლისი ბევრს კიდევ გვახსოვს. დღე, როცა მისი პრემიერა გაიმართა. მაშინ ამბობდნენ, რომ რობერტ სტურუამ ქართულ ლიტერატურას მხოლოდ ხარკი უზოძა, თუმცა არც ასე იყო საქმე. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა, რეჟისორის სათქმელი და ნაფიქრალი ქართველებზე მკაფიოდ და ნათლად გამოთქვა. არა მხოლოდ ერთ ნაწარმოებს, არამედ ჭავჭავაძის მთელს შემოქმედებას ჩაუღრმავდა და სუბიექტურად დანახულის გადმოსაცემად ის ფორმები წარმოგვიდგინა, რომელიც ყველაზე შესაფერისად მოეჩვენა. ამიტომაც იყო, რომ მაყურებლი მაშინ ორად გაიყო. ის, ვინც მისთვის საინტერესო დაინახა და ის ვისთვისაც, რაღაც მიუღებელი გახდა.

გუშინდელი საღამოდან ისევ ის დარჩა მეხსიერებაში, რაც ხუთი წლის წინ, ამ სპექტაკლის პირველად ხილვისას. ავანსცენაზე მოწყობილი მოაჯირი და მის მიღმა წარმოდგენილი ჭავჭავაძისა და სტურუას ქართველები. თავისი "შენ ხარ ვენახითა" და "მრავალჟამიერით." ტრაგიზმითა და კომიზმით ერთად, განწირული ყვირილი რუსისა, რომ ილიას აქვე ახლოს შუბლი გაუხვრიტეს და საპასუხოდ გამართული ჭამა-სმა და ხეირიანი მოლხენა. "ენის მოჩლექა, საკუთარი ერის წინაშე მლიქვნელობა, უმაღ ამხელს ნამუსგარეცხილ სულს. ისე პირფერობა ხელსაყრელია, მლიქვნელებს ხალისით კვებავენ, შემდეგ კი მათ მიუსევენ, ვისაც სიყალბე არ შეუძლია." სტურუა ასე გამოეხმაურა ერთ დროს ილია ჭავჭავაძის ცნობილ ციტატებს: "ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია, ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია."

უნდა გახსნილიყო თუ არა თეატრის ახალი სეზონი რუსთაველში ამ სპექტაკლით, ამაზე ბევრმა იფიქრა, მრავალმა ეს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენა, თუმცა, მგონია, ისეთებიც იყვნენ, ვინც ეს სვლა მოიწონა. რუსთაველის თეატრი ყოველთვის დროულად პასუხობდა აწმყოს და ეს მისი ნამდვილი მისიაა. თუ გავითვალისწინებთ, დაახლოებით რა შინაარსობრივი დატვირთვისა იქნება 24 ნოემბრის წარმოდგენა, ბულაძის პიესებზე დადგმული სტურუას ახალი სპექტაკლი, მაშინ ყველაფერი შესაბამისობაშიც მოვა. მიუხედავად ლამაზი და სასიამოვნო დასაწყისისა, მთავარი მაინც ის ახალი სპექტაკლები იქნება, რომლებსაც დასი სულ მალე წარმოუდგენს მაყურებელს.

# ათამაშეთ, თუ გინდათ, რომ ასწავლოთ

"ელფის" მოგზაურობა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე

ია ვეკუა

წლევანდელ თბილისის წიგნის ფესტივალზე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს ღონისძიება პირველად დაემსგავსა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალს. თუმცა, ამ სიტყვების ავტორებს იმის აღნიშვნა ავიწყდებოდათ, რომ მსგავსება მხოლოდ საგამოფენო სივრცის შერჩევისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით თუ შეიმჩნეოდა. ჩვენს საგამომცემლო ბიზნესს ფრანკფურტის ფესტივალამდე მიახლოებისთვის ძალიან დიდხანს მოუწევს მუშაობა. ამის მიზეზებზე გვესაუბრება გამომცემლობა "ელფის" ხელმძღვანელი თინა დიდებულიძე, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან წიგნის ფორუმს სტუმრობს.

**- ოქტომბერში თქვენ ფრანკფურტში იმყოფებოდით, სადაც ცნობილ წიგნის ფესტივალს ესწრებოდით.**

- ფრანკფურტის წიგნის ფესტივალი წელს 57-ედ ჩატარდა, რაც თავისთავად მეტყველებს მის მნიშვნელობასა და სოლიდურობაზე. ეს ის ადგილია, სადაც მთელი მსოფლიოს საგამომცემლო სპექტრი იკრიბება. ერთმანეთს ხვდებიან ავტორები, გამომცემლები, მხატვრები, რეჟისორები, ფოტოგრაფები - ანუ ყველა, ვისაც წიგნის გამოცემასთან აქვს საქმე. ამ ფესტივალის პრესცენტრში 1998 წლიდან ვარ აკრედიტებული, რადგან აქ იყრის თავს მთელი მსოფლიოს საგამომცემლო ინდუსტრიის ყველაზე სრულყოფილი და უახლესი მონაცემები. რაკი გამომცემელი გახლავართ, ეს ინფორმაციები ჩემთვის მნიშვნელოვანია. სწორედ აქ შემიძლია გავიგო, რა სიახლეებია ჩემი პროფილის საგამომცემლო სფეროში. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა ნებისმიერი განხრის მქონე გამომცემლისთვის დიდი სკოლაა, მით უმეტეს, ქართველი გამომცემლებისთვის, რომლებიც ამ ბიზნესში არცთუ დიდი ხნის ჩაერთნენ. ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მის პრესცენტრში ქართველი ჟურნალისტი მუშაობს. აქ მსოფლიოს სოლიდური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებთანაც მაქვს კონტაქტი, რაც ცალკე გამოცდილებაა. წელს მათ თბილისის წიგნის ფესტივალის ბუკლეტები ჩავუტანე და ამ ღონისძიების შესახებაც ვუამბე.



ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე.

**- როგორც გამომცემელს, კონკრეტულად რაში გეხმარებათ ამ ფესტივალზე დასწრება?**

- ამის შემდეგ უკეთესად შემიძლია ჩემი გამომცემლობის პროგრამების დაგეგმვა. "ელფი", ძირითადად, საბავშვო ლიტერატურას გამოსცემს. ამჟამად ათი მიმართულებით ვმუშაობთ: მხატვრულ, შემეცნებით, საგანმანათლებლო ლიტერატურაზე, ენციკლოპედიებსა და სხვა გამოცემებზე. ამ პროფილით მსოფლიოში უამრავი გამომცემლობა მუშაობს და მათთან კავშირის დამყარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთან ვერც კი წარმოიდგენენ, რამდენად მრავალფეროვანი ლიტერატურა იქმნება ბავშვებისთვის. ძირითადად, ეს არის წიგნისა და სათამაშოს სინთეზი, რომლებიც ტექნიკურად უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი. მაგალითად, ახლა ძალიან პოპულარულია წიგნები, რომლებიც მღერიან, უკრავენ საბავშვო სიმღერების მელოდიებს და ესაუბრებიან ბავშვს. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ აუცილებელია, რადგან ბავშვი თამაშის თანხლებით უფრო ადვილად და ხალისიანად სწავლობს. ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენთან ძვირი დაჯდება და ასე აღჭურვილი წიგნების ყიდვას ფართო მომხმარებელი ვერ შეძლებს, ამიტომ ამ ეტაპზე ამ სიახლის დანერგვისგან თავს ვიკავებთ.

**- რვა წელია, რაც თქვენ ფრანკფურტის ფესტივალის პრესცენტრში მუშაობთ. თქვენი დაკვირვებით, რამდენად შეიცვალა დამოკიდებულება წიგნისადმი?**

- წიგნისადმი ინტერესი მსოფლიოს მასშტაბით არ განელებულა. მსოფლიომ უკვე გააცნობიერა, რომ კომპიუტერი და სხვა ტექნოლოგიური სიახლეები ადამიანს წიგნზე მეტ განათლებას ვერ მისცემს. ამის დასტურია ისიც, რომ წელს ფრანკფურტის ფესტივალზე წინასწარ 30 ათასი ბილეთი გაიყიდა (ფესტივალი ერთ კვირას მიმდინარეობს. პირველი სამი დღე გამომცემლებისა და მონაწილეთა შეხვედრისთვისაა, დანარჩენ დღეებში კი მყიდველი მოდის). იმდენი ხალხი მოვიდა, რომ გამომცემლობებს წიგნები არ ჰყოფნიდათ. ევროპაში წიგნისადმი მიდგომა ძალიან განსხვავებულია - წიგნები 9 თვის, ორი წლის და სხვა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაც გამოდის, არის საახალწლო წიგნებიც, რომლებითაც ნაძვის ხეებს რთავენ. ყველა საბავშვო წიგნს მოჰყვება დამატება-სათამაშო ან აუდიოჩანაწერი, რაც ბავშვის ინტერესს უფრო ზრდის. გერმანია ძალიან წიგნიერი ქვეყანაა და მისდამი სიყვარულს ბავშვებს ადრეული ასაკიდან უნერგავენ.

**- თქვენ, ძირითადად, საბავშვო ლიტერატურას გამოსცემთ. მასალის მხრივ თუ გაქვთ რაიმე პრობლემა?**

- ეს მართლაც პრობლემაა, რადგან საქართველოში საბავშვო მწერლები არ არიან, ხოლო ხალხური ზღაპრები და ადრე შექმნილი საბავშვო ნაწარმოებები დღევანდელობას აღარ შეესაბამება. თანამედროვე ბავშვს ზღაპარიც თანამედროვე უნდა - არა დედინაცვლისგან დაჩაგრულ გერებზე, არამედ მომავალში მოგზაურობაზე ან კოსმოსზე. ანუ ჩვენი საბავშვო ლიტერატურა აღარ არის დროის ადეკვატური. მხოლოდ ერთი საბავშვო მწერლის დასახელება შემიძლია - ეს არის გუგული ტოგონიძე. მისი შვიდი მოთხრობა უკვე შევიტანე ათი საუკეთესო ქართული ზღაპრის კრებულში, რომელსაც მალე გამოვცემთ. კარგი იქნება, თუ ძველი ქართული ზღაპრების ადაპტირებაც მოხდება. შესაძლოა, ბავშვები ამის შემდეგ უფრო დაინტერესდნენ. ბაღის მასწავლებლები აღსაზრდელებს ვერაფერს უკითხავენ და, შესაძლოა, ამის გამოა, რომ პირველკლასელებს ძალიან უჭირთ სასკოლო პროგრამის ათვისება. სწორედ ამ ნიშის ამოსავსებად გამოვეცით "მხიარული დედაენა" 5-7 წლის პატარებისთვის. ამ წიგნის მიხედვით ბავშვი წერა-კითხვას ნახატებისა და სხვა გასართობის დახმარებით სწავლობს. ამჟამად 3-დან და 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ წიგნზე ვმუშაობთ.

**- რამდენად უწყობს ხელს საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას სახელმწიფო?**

- მალე გამოვცემთ ენციკლოპედიას "ძველი ქართველები", რისთვისაც, ცხადია, ფოტომასალა დამჭირდა. ისტორიის მუზეუმში ერთი ფოტოს გადაღებაში 50 ლარი მომთხოვეს. ვალდებული ვარ, ეს თანხა გადავიხადო, რაც საბოლოოდ წიგნის ღირებულებაზე აისახება. მის შეძენას კი ფასის გამო ბევრი ვერ შეძლებს. ამ შემთხვევიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამომცემლობების ხელშეწყობა მინიმალურია.

**- ამ მხრივ რა მდგომარეობაა საზღვარგარეთ?**

- მოგიყვანთ მცირე სტატისტიკას: ჩრდილოეთ ამერიკაში 3 200 კერძო გამომცემლობაა, ბრიტანეთში - 2225, გერმანიაში - 1827, საფრანგეთში - 1300, იაპონიაში - 4360, რუსეთში - 6300. ჩვენთან ათიოდე ნორმალური გამომცემლობაა და წელიწადში მხოლოდ 400-500 დასახელების წიგნი გამოდის. ლიტვაში, რომელიც სიდიდით დაახლოებით საქართველოსხელაა, 547 გამომცემლობაა და წელიწადში 5 600 დასახელების წიგნი გამოდის. იქ ბესტსელერად მიიჩნევა 20 000-იანი ტირაჟი, როცა ჩვენთან ბესტსელერად 2000-3000 წიგნიც კი ჩაითვლება (ამ მონაცემებში არ შედის სასკოლო სახელმძღვანელოები). ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ არის წიგნის ბაზარი. თუმცა, ასეა არა იმიტომ, რომ წიგნისადმი ინტერესი არ არის, არამედ იმიტომ, რომ სიძვირის გამო ცოტა მყიდველი ჰყავს. წიგნის სიძვირის ერთ-ერთი მიზეზი უკვე დაგისახელეთ. საზღვარგარეთ სხვა ლიტერატურასთან შედარებით საბავშვო წიგნები ყველაზე იაფი ღირს, რადგან იმ ქვეყნებში ბავშვის განათლების მნიშვნელობა კარგად აქვთ გაცნობიერებული.

# ეიფორიის სურნელი

თამარ ბაბუაძე

სიტყვის განმარტება: "ეიფორიაა მოგზაურობა უსაზღვრობაში. შთაგონებულია ახლად მოპოვებული თავისუფლებით. ის ნიშნავს საკუთარ ოცნებაში ცხოვრებას".

ცხადია, "ეიფორიას" უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ასე არავინ განმარტავს, სამაგიეროდ განმარტავს კელვინ კლაინი, ამ მდგომარეობას სითხედ აქცევს და ფაბიენ ბარონის ორიგინალური ფლაკონით მთელ მსოფლიოში ავრცელებს. სუნამოს ქართული პრეზენტაცია სასტუმრო "ბეტსიში" "ისი პარის" მაღაზიათა ქსელმა გამართა. კომპანია "უნილევერის" ბრენდ-მენეჯერმა ლეილა პაპიაშვილმა პრესას არომატის დაგემოვნება ჯერ ფერით ურჩია. ფერი, რომლის განსაზღვრაც ძნელია და შავი მოცხარისა და იასამნისფერის უცნაურ ნაზავს წარმოადგენს, "ეიფორიის" სავიზიტო ბარათია და ამიტომ. ის მაშინვე აყოვნებს მზერას და ძაბავს გონებას - "როგორ, კლაინმა, რომლის ფერთა გამაც ნეიტრალური ტონებისგან შედგებოდა წლების მანძილზე, ახლა ეს თბილი იასამნისფერი აირჩია?" კითხვა ლოგიკურია, რადგან ფერი მართლაც მიგვანიშნებს კურსის ცვლილებაზე, რომელიც კომპანიის გაყიდვის შემდეგ შენიშნეს ცნობილ ამერიკელ დიზაინერს კლიენტებმა. კელვინ კლაინმა დაიწყო მოგზაურობა, სრულად დატკბა თავისუფლებით, პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევით და მიხვდა, რომ ამ უდარდელობამ სასიამოვნო ეიფორიამდე მიიყვანა. სწორედ ეს განწყობა გადმოსცა მან თავის ახალ სუნამოში, რომელიც პირველად მხოლოდ თვითონ შექმნა.

ასე რომ, თუ კელვინ კლაინის განწყობათა ქრონოლოგიურად დალაგებას გადავწყვეტთ, დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ: თავიდან იყო Obsession - აკვიატება - მშვენიერი კეიტ მოსის მონაწილეობით; შემდეგ იყო Eternity - იმის აღსანიშნავად, რომ კელვინ კლაინმა ოჯახი შექმნა, ამ მარადიულ ფასეულობას ეზიარა და სუნამოსაც შესაბამისი სახელი დაარქვა. შემდეგი სუნამო - Escape - ასევე ძალიან ორიგინალური ვიდეორგოლით - უკვე კლაინის განქორწინების ხანას დაემთხვა, ამიტომაც დიზაინერმა ეს გრილი სურნელი გაქცევას, თავდაღწევას მიუძღვნა. Contradiction კიდევ ერთი აღმოჩენის "ოდა" გახდა: გარეგნულ სისადავეში შინაგანი სიღრმე იმალება. სუნამომ ეს იდეა თავისი გრილი, მაგრამ ძალიან დახვეწილი სურნელით ეფექტურად გადმოსცა. შემდეგ კელვინ კლაინი კვლავაც მარადიულ ღირებულებებს დაუბრუნდა და სუნამოს Truth - ჭეშმარიტება დაარქვა. პარალელურად შექმნა სუპერპოპულარული უნისექს არომატები Ckone და Ckbe ახალგაზრდებისთვის, ბოლოს კი, სასიამოვნო ეიფორიის დაუფლებამდე, თავისი მომხმარებლის ასაკი კიდევ უფრო შეამცირა და Crave 15-24 წლის ბიჭებისთვის შექმნა.



ასე დადგა ეიფორიის დრო. ამ დადებითი ემოციით სავსე აღტკინებამ კლაინს პარფიუმერობაც დააწყებინა. გამოვიდა საოცრად იდუმალი აზიური არომატი, რომელიც ასეთი სურნელის მოყვარულებს უმალ მიიზიდავს. იდუმალებას "ეიფორიას" სურნელის ცვლილება ანიჭებს. ჯერ ბროწეულითა და ხურმით გაჯერებული მკვეთრი არომატი, შემდეგ შავი ორქიდეა და ბოლოს და ძალიან ხანგრძლივად რჩება ვანილიანი კრემის არომატი, რომელიც, თურმე, ქვეცნობიერად ძალიან იზიდავთ მამაკაცებს... ამიტომაც "ეიფორია" მანიაში გადადის და მანდილოსნებს, რომელთაც ისედაც უყვართ ვანილიანი, ტკბილი არომატები, ნამდვილ თავდავიწყებას ჰპირდება.

კელვინ კლაინი ამჯერად "ეიფორიის" უკეთ წარსადგენად თავის ერთგულ მოდელს ნატალია ვოდიანოვას იყენებს, ფლაკონს კი ასევე სახელგანთქმულ ფაბიენ ბარონს ანდობს. ასე რომ, ეს ხელოვანთა ნამდვილი ტანდემია. ყველაზე სასიამოვნო ეიფორიასაც ხომ შემოქმედებითი პროცესი იწვევს.


"საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ "მინი-სტამბის" მოწყობილობის შესაძენად 2005 წლის 30 სექტემბერს გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვა შპს "პოლიგრაფმა".

## ყურადღება

ცხადდება ფოტოკონკურსი თემაზე "ვარდების რეჟიმი და ოპოზიცია". კონკურსში მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლისა 10-დან 15 ნოემბრამდე ელექტრონული ვერსიის სახით (300 dpi) ან A4 ფორმატით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი №2, II სართული, ბინა 2, 10.00-დან 18.00 საათამდე, ან მოგვაწოდონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: photokonkursi@yahoo.con. გახსნა 22 ნოემბერს (გალერეა "DIDI", ერეკლეს მოედანი).

ნამუშევრების რაოდენობა შეუზღუდავია. საპრიზო ფონდი 1000 ლარი.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 22-08-68; 8(77) 750-850.**

*საინიციატივო ჯგუფი*

**ფირმა "დემასი" აცხადებს ტენდერს ლოგოს შექმნაში. ჰონორარის ოდენობა 600 აშშ დოლარი დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. www.jobs.ge ტელ: 920210**




## ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207